

# ბანსჯაღობა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2019, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2019, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2019, №9

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2019, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;

[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეხელი

### 1. ადმინისტრაციული განსჯადობა

ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა .....	4; 13
პატრულ-ინსპექტორის მიერ უკანონო ქმედების გამო მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა .....	24
ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გარკვეული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა .....	39
გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა .....	50

### 2. სამოქალაქო განსჯადობა

ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა .....	61
განაჩენით დადასტურებული დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა .....	67
უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალთან დაკავშირებით შრომითი დავის განსჯადობა .....	76

### 3. ტერიტორიული განსჯადობა .....

3.1. ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობის სპეციალური წესი .....	89; 97; 104
3.2. განსჯადობა უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით .....	111; 117
განსჯადობა ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით .....	130; 140
3.3. განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ალტერნატიული განსჯადობა .....	146; 156; 166
განსჯადობა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით .....	171
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დავის განსჯადობის სპეციალური წესი .....	175; 180

### 4. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

განცხადების განსჯადობა .....	185
------------------------------	-----

# 1. ადმინისტრაციული განსჯადობა

## ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-880(გ-18)

21 თებერვალი, 2019წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის, წარმოშობილი დავა.

#### აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 02.11.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს „...“-ის“ მიმართ მოსარჩელის სასარგებლოდ საიჯარო ქირის დავალიანების და პირგასამტეხლოს, ჯამში 15 223,17 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში დაკისრების მოთხოვნით (საიჯარო ქირის დავალიანება – 1 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო საპრივატიზებო ღირებულებისათვის – 6141,20 აშშ დოლარი, სხვა ვალდებულებებისათვის – 6141,57 აშშ დოლარი, №112 ოქმი/ხელშეკრულების შესაბამისად – 1575,40 აშშ დოლარი, №113 ოქმი/ხელშეკრულების შესაბამისად – 352 აშშ დოლარი, №114 ოქმი/ხელშეკრულების შესაბამისად – 352 აშშ დოლარი, №115 ოქმი/ხელშეკრულების შესაბამისად – 330 აშშ დოლარი, №116 ოქმი/ხელშეკრულების შესაბამისად – 330 აშშ დოლარი). მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე შპს „...“-ს მიერ სააგენტოს სასარგებლოდ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის გამო ფულადი ანაზღაურების ჯამში – 103 190,7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში დაკისრება (იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოძრავი ქონების დაუბრუნებლობისათვის გა-

დაუხდელი საპრივატიზებო საფასური – 69 786,74 აშშ დოლარი, №112 ოქმი/ხელშეკრულების შესაბამისად – 17 902,14 აშშ დოლარი, №113 ოქმი/ხელშეკრულების შესაბამისად – 4000,48 აშშ დოლარი, №114 ოქმი/ხელშეკრულების შესაბამისად – 4000,48 აშშ დოლარი, №115 ოქმი/ხელშეკრულების შესაბამისად 3750,44 აშშ დოლარი, №116 ოქმი/ხელშეკრულების შესაბამისად 3740,44 აშშ დოლარი ეკვივალენტი ლარში).

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსა (უფლებამონაცვლე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „...-ს“ შორის 13.12.2007წ. დადებული №53 ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეს იჯარა – გამოსყიდვის უფლებით 89 800 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად გადაეცა 3 ტრაქტორი და 4 სხვა მონყობილობა. საპრივატიზებო ღირებულების გადახდა უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად, ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, 13.12.2014წ. ჩათვლით. ამასთან, შპს „...-მა“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აუქციონის მომწყობა კომისიის პირობით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების 21.04.2008წ. №..., №..., №..., №... დამადასტურებელი ოქმებით მოიპოვა პრივატიზების უფლება კარტოფილის 1 სარგავზე, ვენახის 3 ფრეზაზე და 2 სათიბელაზე, რომელთა საპრივატიზებო თანხა უნდა გადაეხადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 წლის განმავლობაში. შპს არ იხდოდა შესაბამის თანხებს, რისთვისაც დამატებით ეკისრებოდა პირგასამტეხლო, თუმცა სააგენტოს კეთილი ნების საფუძველზე მას ეპატია სახელშეკრულებლო ვალდებულებების (მათ შორის საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების) შეუსრულებლობისთვის 2016 წლის 01 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლო და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შესრულება გადაუვადდა 2017 წლის 01 იანვრამდე, ამასთან, 2016 წლის 28 მარტიდან გათავისუფლდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა (საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების გარდა) და 2014 წლის 01 იანვრამდე წარმოშობილი საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისგან. საპრივატიზებო თანხის, საიჯარო ქირის და პირგასამტეხლოს გადასახდელად დამატებით მიეცა ვადა 2016 წლის 31 იანვრამდე, თუმცა შპს-მ თანხა არ გადაიხადა, ამიტომ სააგენტომ ზემოთაღნიშნული ოქმი/ხელშეკრულებები 2017 წლის 01 იანვრიდან ცალმხრივად შეწყვიტა. მოსარჩელე თვლის, რომ უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო ქონების დაბრუნება, თუმცა მოპასუხეს მოძრავი ქონება უკან არ დაუბრუნებია, შესაბამისად, ვალდებულია

აანაზღაუროს მისი საფასური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.05.2018წ. განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისთვის არსებითია დადებული ხელშეკრულების ხასიათი. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს შეადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „...-ს“ შორის დადებული იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. სასამართლომ მიუთითა ზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ პუნქტზე და აღნიშნა, რომ გარიგების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის საჭიროა გარიგების დადებისას იკვეთებოდეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი. განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე დგინდება, რომ იგი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, ვინაიდან არ არის დაკავშირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან. შესაბამისად, სადავო ურთიერთობა მიეკუთვნება არა ადმინისტრაციულ, არამედ სამოქალაქო-სამართლებრივ კატეგორიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.07.2018წ. განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, ყოველი პირი უნდა განსჯადოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასამართლომ მიუთითა, რომ განსჯადობის საკითხის გადანწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს, გარდა იმისა, რომ დავის ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილების დასადგენად გადამწყვეტია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაცი-

ული კანონმდებლობა. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ვინაიდან მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 30.05.1997წ. კანონისა და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 20.09.2017წ. №1-4/415 ბრძანების საფუძველზე, ამასთანავე, აუქციონები, რომელთა საფუძველზეც მოპასუხემ მიიღო პრივატიზების უფლებები, გაიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აუქციონის მომწყობი კომისიის მიერ. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის განსჯადია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრუ-

ლებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხ, სზაკ-ის 65.2, 65<sup>1</sup> მუხ.). საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითადი მახასიათებელია ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს (იხ. სუს 26.12.2013წ. განჩინება საქმეზე №ბს-31-27(კ-13)). ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე არის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანს შეადგენს ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსა (უფლებამონაცვლე – სსიპ ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „...“-ს შორის 13.12.2007წ. დადებული იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ პირობით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების 21.04.2008წ. დამადასტურებელი ოქმი-ხელშეკრულებების შეუსრულებლობის გამო შპს „...“-თვის“ 15 223,17 დოლარის ეკვივალენტი ლარში დაკისრება და ნივთების დაბრუნების შეუძლებლობის გამო 103 190,7 დოლარის ეკვივალენტი ლარში ანაზღაურება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს, ამდენად, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (იხ. სუს 11.09.2014 წ. განჩინება საქმეზე №ბს-350-316(გ-14)).

განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული



13.12.2007წ. იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებით, შპს „...-ს“ იჯარა-გამოსყიდვის უფლებით, 89 800 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 3 ტრაქტორი და 4 სხვა მონყობილობა. ამასთან, საპრივატიზებო ღირებულების გადახდა უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივია, რადგან მასში არ იკვეთება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი. საკასაციო პალატა არ იზიარებს მითითებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას, შესაბამისად უნდა შეფასდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი. ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზება იყო ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ქონებაზე ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი სცილდება კერძოსამართლებრივ სფეროს, ამ ურთიერთობაში სახელმწიფო არ გამოდის ურთიერთობის თანახმად მონაწილედ, კერძო პირად. იჯარა-გამოსყიდვა წარმოადგენს პრივატიზაციის ერთ-ერთ ფორმას. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 31.03.1999წ. №1-3/152 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების თანახმად, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების მიზანია იჯარით გაცემული ქონების გამოსყიდვამდე მოიჯარისთვის სამეურნეო და სხვა საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის, ტერიტორიალური ფასეულობის ვადიანი და სასყიდლიანი მფლობელობისა და სარგებლობის უფლების მინიჭება (1-ლი მუხ.). ამასთანავე, იჯარა-გამოსყიდვა ეხება განსახელმწიფოებრობას, სახელმწიფო ქონების კერძო პირის საკუთრებაში გადაცემას. აღნიშნული დებულების მე-5 მუხლით დადგენილია მოიჯარის ვალდებულება იჯარა-გამოსყიდვით აღებული სახელმწიფო ქონების გამოყენებისას დაიცვას საკონკურსო პირობებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წე-

რილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმდება დარჩენილი საიჯარო ქონების ღირებულების და/ან გადასახდელი ქირის 0,1%-ით. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების სანყისი ფასი და საკონკურსო პირობები ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე (საქართველოს პრეზიდენტის 17.11.1997წ. №671, 22.11.1998წ. №654, 19.08.2010წ. №659, 27.09.2012წ. №898 ბრძანებულებები) განისაზღვრებოდა. შესაბამისად, მოსარჩელის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნება საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს. მხარეთა შორის იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება დადებულია „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 30.05.1997წ. კანონის, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 31.03.1999წ. №1-3/152 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების საფუძველზე, ამდენად, სახეზეა სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი დავა, ხოლო პრივატიზების ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს.

მეორე სასარჩელო მოთხოვნა ეხება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 21.04.2008წ. აუქციონში გამარჯვების ოქმი-ხელშეკრულებების №... – №... გამო წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურებას. აღნიშნულ აუქციონში გამარჯვების 21.04.2008წ. ოქმი-ხელშეკრულებების შესაბამისად, „...-ს“ გადაეცა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლის საპრივატიზებო საფასური უნდა დაეფარა ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 წლის განმავლობაში. სადავო პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის 6.1 მუხლი განსაზღვრავდა, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა აუქციონი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირობით გამოცხადებული აუქციონის ფორმით ქონების გაყიდვის მიზანი იყო საკუთრების უფლების მინიჭება იმ მყიდველისთვის, რომელიც აიღებდა გამოცხადებული პირობების დაკმაყოფილების ვალდებულებას და ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა. აუქციონის ჩატარების დროს მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის

11.09.2007წ. №1-1/1366 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულებით წესრიგდებოდა აუქციონის ჩატარების წესი და პირობები. დებულების 4.7 მუხლის, 6.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. ამდენად, სადავო სამართალური თეორია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას მოითხოვს, რადგან ხელშეკრულება საჯარო კანონმდებლობის საფუძველზეა დადებული და შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომელთან დაკავშირებითაც წარმოშობილი დავები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნის ვალდებულებით-სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალება, რომელსაც მოვალე იხდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისას. შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობის წინაპირობაა ვალდებულების დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, აღნიშნული არ გამოირიცხავს პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე დავის განხილვას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. მოცემულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს იმ ხელშეკრულებებიდან, რომლებიც დაიდო სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით. სახელმწიფო ქონების განკარგვა მოხდა „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის მიხედვით. ამდენად, მხარეთა შორის დადებული იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება, ისევე როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ პირობით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ხელშეკრულებები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებებია. შესაბამისად, მათი შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.05.2018წ. განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინება არ შეიცავს რაიმე მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ მიიჩნია იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად, კოლეგიას არ უმსჯელია აუქციონში

გამარჯვების ოქმი-ხელშეკრულებების ბუნებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავა განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე  
დავის განსჯადობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-711-711(გ-18)

21 მარტი, 2019წ. ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 08.08.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს „...ს“ მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს დაკისრება 77 500 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „დ...ს“ შორის 02.09.2015წ. ელექტრონული აუქციონის გამართვის შემდეგ გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... მდებარე 11 057 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობის, მათ შორის, მიწის ქვეშ არსებულ ნაწილზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მისაღებ მეორად სამშენებლო მასალებზე. ქონების საპრივატიზებო საფასური 39 000 ლარის ოდენობით მყიდველს უნდა გადაეხადა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. მყიდველს აღნიშნული ნარჩენები ტერიტორიიდან უნდა გაეტანა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულები-

სათვის განისაზღვრა პირგასამტეხლო. მოსარჩელის განმარტებით, 11.09.2015წ. შპს „დ...სა“ და შპს „...ს“ შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „...ზე“ გადავიდა 02.09.2015წ. ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება იმავე პირობით. შესაბამისად, შპს „დ...ს“ ჩაენაცვლა შპს „...“. 25.07.2016წ. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ცალმხრივად მოშალა ხელშეკრულება მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. მოსარჩელემ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 6.6<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების განკარგვისას დადგენილი წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა, დამატებითი ვადის დადგენისა და აუქციონის შედეგების გაუქმების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 10.02.2011წ. №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების განკარგვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის“ 4.10 მუხლის თანახმად, აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები რეგულირდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 07.09.2010წ. ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“ დებულების 8.8 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების შემძენის მიერ სხვა სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით. სწორედ ამიტომ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო თვლის, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს ელექტრონული აუქციონის გამართვის შედეგად მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო 77 500 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგიის 15.08.2016წ. განჩინებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „დ...ს“ შორის 02.09.2015წ. გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისთვის არსებითია დადებული ხელშეკრულების ხასიათი. ხელშეკრულების შესრულებასთან ან/და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადად, თუ ხელშეკრულება ადმინისტრაციულია. სასამართლომ სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის საჭიროა მასში იკვეთებოდეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება, ამიტომ ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივია, რის გამოც მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. აღნიშნული შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებზე დადგენილ პრაქტიკას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.07.2018წ. განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმე გადმოგზავნილია არაუფლებამოსილ კოლეგიაში, რადგან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არასწორად ჩათვალა დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავად. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე, სასკ-ის 26.1 მუხლის მიხედვით, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. სასკ-ის 2.3 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სა-



მართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნის საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებზე დაფუძნება. მოცემულ შემთხვევაში, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათი. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში არსებული ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 10.02.2011წ. №1-1/172 ბრძანების, „ქ. თბილისში, ... მდებარე 11 057 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობის, მათ შორის, მიწის ქვეშ არსებულ განილზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 10.08.2015წ. №1/1-3134 ბრძანების და 25.08.2015წ. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებულ №1635 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დადასტურების“ საფუძველზე. სასამართლომ მიუთითა, რომ სახეზეა პრივატიზებიდან წარმოშობილი დავა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რადგან პრივატიზების პროცესი არ განეკუთვნება კერძოსამართლებრივ ურთიერთობას და სახელმწიფო ამ ურთიერთობებში არ გამოდის კერძო პირად. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლებრივ სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას და ის წარმოადგენს არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული წესით განსჯად საქმეს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თა-



ობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ. სასკ-ის 2.1 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილვენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს, აღნიშნული მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის იმ სამართალურთიერთობიდან წარმოშობა, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საგნობრივი განსჯადობის დასადგენად, კონკრეტული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის საქმისადმი კუთვნილების მაჩვენებელია სადავო ურთიერთობებში ერთ-ერთ მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს გამოსვლა, სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობა და ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით. ვინაიდან სადავო სამართალურთიერთობა მოცემულ შემთხვევაში გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან, დავის განსჯადობის გადაწყვეტა საჭირო-

ებს ამ ხელშეკრულების ბუნების გარკვევას, რადგანაც სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება. სზაკ-ის 65.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი უფლებამოსილებების განხორციელება შეუძლია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით, ხოლო სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „დ...ს“ შორის 02.09.2015წ. გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც საპრივატიზებო ქონებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, ... მდებარე 11057 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობა №1-ზე (ნანგრევი), მათ შორის მიწის ქვეშ არსებულ ნაწილზე, ჩასატარებელი სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალები. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, რომელიც სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა. სახელმწიფო პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს. სზაკ-ი გარკვეულწილად აღიარებს სუბიექტების თეორიას, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტში მოცემული ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება. ამდენად, პრივატიზების ხელშეკრულებაში სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი სავალდებულო ნიშანი – მასში ყოველთვის მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზეა.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს აგრეთვე ხელშეკრულების საჯარო-სამართლებრივი მიზანი (სზაკ-ის 2.1 მუხ. „ზ“ ქვ.პ.). „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვა-

ლისწინებულ შემთხვევებში, ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი მაშინაა სახეზე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მისთვის კანონით განსაზღვრული ძირითადი უფლებამოსილების ფარგლებში და ამ უკანასკნელის შესრულების მიზნით. ვინაიდან სახელმწიფო ქონების მართვა/განკარგვა, პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების დადება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ძირითად ფუნქციათა რიგს განეკუთვნება, ამდენად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ახორციელებს მისთვის კანონით დადგენილ საჯარო უფლებამოსილებას და აქედან გამომდინარე, დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლიდან გამომდინარე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისას სახელმწიფო ცალმხრივად ადგენს სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო პირობებს, მაშინაც კი როდესაც სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ინიცირება ხდება დაინტერესებული პირისაგან, რაც განაპირობებს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის დომინირებულ მდგომარეობას და დამატებით ადასტურებს ურთიერთობის საჯარო-სამართლებრივ ხასიათს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის ადმინისტრაციული განსჯადობის დასადგენად, ყველა სხვა ელემენტთან ერთად, უნდა განისაზღვროს თავად ხელშეკრულების მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება, ხელშეკრულება უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების მიზანს შეადგენდა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა პრივატიზების გზით. ასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულება იდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე, ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებს ხელშეკრულების საპრივატიზებო პირობების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესს კომპლექსური ხასიათი აქვს, ამ პროცესის დამაგვირგვინებელია პრივატიზების შე-

სახებ ხელშეკრულების დადება, თუმცა ამ პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს (ობიექტის პრივატიზების ფორმების შესახებ), უხდება საჯარო მოქმედებების (რეალაქტების) განხორციელება (მაგ. აუქციონის გამოცხადება, განცხადებების მიღება, შედეგების შეჯამება და სხვ.).

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზება არის სახელმწიფო ქონებაზე ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონით, პირდაპირი მიყიდვით ან ამავე კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმებით ფიზიკური ან იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ საკუთრების უფლების შექენა ამ კანონით გათვალისწინებული წესით. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესს ადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 10.02.2011წ. №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“, რომლის 1.11 მუხლის თანახმად, ელექტრონული აუქციონის საფუძველზე სახელმწიფო ქონების პრივატიზება შეიძლება განხორციელდეს უპირობოდ ან პირობით. ამავე მუხლით განსაზღვრულია პირობებიანი აუქციონისას სახელმწიფო ქონების შემქმნის ვალდებულებები. სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე გადამწყვეტილებას იღებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო („სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის“ 1.2 მუხლი). ელექტრონული აუქციონის ჩატარების მიზანია – საკუთრების უფლება მიანიჭოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და სახელმწიფო ქონების პრივატიზების უფლებით გადამცემ ორგანოს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს („სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის“ 1.5 მუხლი). ელექტრონული აუქციონი (პირობებით) ცხადდება პრივატიზების უფლებით გადაცემის განმახორციელებელი ორგანოს გადამწყვეტილებით („სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის“ 1.10 მუხლი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „დ...ს“ შორის 02.09.2015წ. ხელშეკრულება, რომლიდანაც გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნა, გაფორმებდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის, საქარ-

თველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 10.02.2011წ. №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის“, „ქ. თბილისში, ... მდებარე 11 057 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობის, მათ შორის მიწის ქვეშ არსებულ ნაწილზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 10.08.2015წ. №1/1-3134 ბრძანების, „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებულ №1635 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დადასტურების შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 25.08.2015წ, ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული თავად მხარეთა შორის გაფორმებული 02.09.2015წ. ნასყიდობის ხელშეკრულებაშია მითითებული. ამდენად, ხელშეკრულების საგანი ეფუძნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და ადმინისტრაციულ წარმოებას. ვინაიდან ხელშეკრულება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე იდება, სახეზეა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა.

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები საერთო სასამართლოების მიერ განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25<sup>1</sup>.2 მუხ.). მართალია, დავის საგანია – მხარეთა შორის 02.09.2015წ. გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო მოპასუხისათვის 77 500 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება, მაგრამ თავად ნასყიდობის ხელშეკრულებით ხდება სახელმწიფო ქონების (მეორადი სამშენებლო მასალების) პრივატიზება, რაც მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავის ადმინისტრაციულ ხასიათს განაპირობებს. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების განკარგვისას დადგენილი წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა, დამატებითი ვადის დადგენისა და აუქციონის შედეგების გაუქმების წესი და პირობები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების განკარგვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ მინისტრის ბრძანებით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 10.02.2011წ. №1/172 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების განკარგვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩა-

ტარების წესის“ 4.10 პუნქტის მიხედვით, აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობები რეგულირდება „სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 07.09.2010წ. №1-1/1487 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“ დებულების 8.8 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის 02.09.2015წ. დადებული ხელშეკრულების 6.3 მუხლით ვალდებულებების დარღვევისათვის გათვალისწინებულია პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია აგრეთვე შპს „დ...ს“ და შპს „...ს“ შორის 11.09.2015წ. დადებულ ხელშეკრულებაში (მე-7 მუხ.), რომლითაც შპს „...მ“ იკისრა სააგენტოსა და შპს „დ...ს“ შორის 02.09.2015წ. დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნის ვალდებულებით-სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალება, რომელსაც მოვალე იხდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას. შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობის წინაპირობაა ვალდებულების დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება (სკ-ის 405-ე მუხ.), აღნიშნული არ გამოორიცხავს პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე დავის განხილვას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. მოცემულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს იმ ხელშეკრულებიდან, რომელიც დაიდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით. განსახილველი დავის შინაარსს არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელე მოთხოვნის საფუძვლიანობას ასაბუთებს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარის მიერ მითითებული სამართლებრივი დასაბუთება არ ზღუდავს სასამართლოს განსჯადობის შესახებ დავის გა-



დაწყვეტაში. ამასთანავე, სასამართლო კომპეტენციის სისრულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველ სასამართლოს ძალუძს გაერკვეს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხში, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია დავის გადაწყვეტისას გამოიყენოს არამხოლოდ საჯარო-სამართლებრივი, არამედ კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმები, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დავა კომპლექსური ხასიათისაა და საჯარო-სამართლებრივ საკითხებთან ერთად შეიცავს დამატებით კერძო-სამართლებრივი რეგულაციის ელემენტებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, საქართველოში მოქმედებს ერთიანი სასამართლო სისტემა. მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოების სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. მთავარი საკითხის გადაწყვეტ მოსამართლეს აქვს უფლება გადაწყვიტოს საკითხთა მთელი ერთობლიობა. ამდენად, ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ პირგასამტეხლოსთან დაკავშირებული საკითხები ზოგადად სამოქალაქო, კერძო სამართლის მონესრიგების სფეროს წარმოადგენს, არ ქმნის განსჯადობის საქმის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის დაქვემდებარების საფუძველს, რადგან თავად ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების პრივატიზება, რომელიც საჯარო კანონმდებლობით მონესრიგებას მოითხოვს. სწორედ ხელშეკრულების საგანი, მისი დადების საფუძველები, მიზანი და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითად უფლება-მოვალეობათა შინაარსი განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის საგნობრივ განსჯადობას.

ამდენად, სასკ-ის 25<sup>1</sup>, 26.3 მუხლების საფუძველზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, 25<sup>1</sup>, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

## **დაადგინა:**

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი მოპასუხე შპს „...ს“ მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **პატრულ-ინსპექტორის მიერ უკანონო ქმედების გამო მორალური ზინის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა**

#### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-448(გ-19)

16 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 14 სექტემბერს დ. ხ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2016 წლის 15 ივნისს დ. ხ-ა თავის სამ მეგობართან ერთად მიემგზავრებოდა თბილისიდან ქუთაისის მიმართულებით მეგობრის მანქანით. მანქანის გაუმართაობის გამო მოუწიათ მანქანის გაჩერება, რა დროსაც მათ მიუახლოვდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. მის მეგობრებსა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რა დროსაც დ. ხ-ა იმყოფებოდა ავტომანქანაში. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ დ. ხ-ამ, რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, თავის თანმხლებ პირებს სთხოვა ეტლის საბარგუ-



ლიდან გადმოტანა, ვინაიდან მანქანაში ხანგრძლივი დაყოვნების გამო ესაჭიროებოდა ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, მიუხედავად იმისა, რომ შეიტყვეს დ-ის პრობლემის შესახებ, უხეშად ფიზიკური ძალის გამოყენებით არ მისცეს საშუალება თანმხლებ პირებს ეტლის მანქანიდან გადმოტანისა. დ. ხ-ას შარდის შეკავების გამო დაენყო ძლიერი სპაზმი, ჩვეულებრივ მას ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ ეტლში ჯდომის პირობებში შეუძლია, რადგან ეტლი მორგებულია მის საჭიროებებს. აუტანელი ფიზიკური ტკივილების გამო, რაც შეკავებასთან არის დაკავშირებული, ის იძულებული იყო ბიოლოგიური მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა ავტომანქანაში, ჩაცმულ მდგომარეობაში. მთლიანობაში მოსარჩელეს დაახლოებით სამი საათის განმავლობაში არ მიეცა ეტლით სარგებლობის შესაძლებლობა და მთელი ეს პერიოდი მოუწია ავტომანქანაში ყოფნა, გარკვეული პერიოდი კი სველ მდგომარეობაში ყოფნა, რა დროსაც აწევა წერილობა, რომელსაც წლების მანძილზე მკურნალობდა და მიძინებული ჰქონდა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ წერილობის მდგომარეობა გაუარესდა. ინციდენტის დაწყებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ დ. ხ-ამ დაარეკა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილზე მალევე გამოცხადდნენ ინსპექციის თანამშრომლები და მათსა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შორის შედგა საუბარი, რის შემდეგაც დ. ხ-ას შესთავაზეს ეტლით სარგებლობა. ვინაიდან მოსარჩელეს ბიოლოგიური მოთხოვნილება უკვე დაკმაყოფილებული ჰქონდა და სველ მდგომარეობაში მანქანიდან გადასვლა ეუხერხულებოდა, ეტლში გადაჯდომაზე უარი განაცხადა. დ. ხ-ამ მანქანიდან ეტლში მას შემდეგ გადაინაცვლა, რაც მას მეგობარმა დაურეკა და შეატყობინა, რომ გორის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა და მალე მიაკითხავდა. მათი ავტომანქანა გადაყვანილი იქნა საჯარიმო ავტოსადგომზე. მეგობარმა დ. ხ-ას გამოსაცვლელი ტანსაცმელი და პირსახოცი მიუტანა, მეგობრის მისვლამდე კი იგი სველ მდგომარეობაში იცდიდა ქუჩაში. დ. ხ-ას იმ ფაქტის გამო, რომ ერთი მხრივ ბუნებრივი მოთხოვნილება მანქანაში დაიკმაყოფილა, ხოლო მეორე მხრივ, სველი იჯდა ავტომანქანაში დიდი ხნის განმავლობაში, მიადგა მძიმე ფსიქოლოგიური და მორალური ტრავმა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ დ. ხ-ას არ მიეცა უფლება თავისუფლად გამოეყენებინა ეტლი და დაეკმაყოფილებინა ბუნებრივი მოთხოვნილება. პატრულ ინსპექტორების მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ დ. ხ-ა იმყოფებოდა განსხვავებულ მდგომარეობაში და მას ესაჭიროებოდა განსხვავებული

მოპყრობა. კერძოდ, სამართალდამცავების მხრიდან უმოქმედობაც კი გამოიწვევდა მოსარჩელის კანონიერი უფლებების დარღვევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.3 მუხლის საფუძველზე, დადგინდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს №2 განყოფილების პატრულ-ინსპექტორების ქმედებებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო დაწესებულების მხრიდან, მის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს დ. ხ-ასთვის მორალური ზიანის ანაზღაურება 7000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 სექტემბრის განჩინებით დ. ხ-ას სარჩელი, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები, კერძოდ, მითითებული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურიერთობის სუბიექტური შემადგენლობისა და სადავო სამართალურიერთობის ბუნების გამო, საქმე გვაქვს სამოქალაქო სამართლებრივ ურ-

თიერთობიდან წარმოშობილ დავასთან, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 მარტის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმულ იქნა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 14 მარტის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის მიზნით გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ: სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის, საქმეებს საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დავის შესახებ, უდავო წარმოების საქმეებს, რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ საქმეებს, შვილად აყვანის საქმეებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციების გავრცელების საქმეებს, შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვასთან დაკავშირებულ საქმეებს, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს. აღნიშნული ნორმის მიხედვით, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება მხარეებს შორის წამოჭრილი კერძო-სამართლებრივი ხასიათის დავები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2

მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა ჩამონათვალს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. მითითებული ჩამონათვალის გარდა, კომპეტენციის სფეროს გამიჯვნისათვის გამოიყენება ზოგადი კრიტერიუმი (ენუმერაცია), რომლის მიხედვითაც ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, წინამდებარე სამართალწარმოება მიმართულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შსს პოლიციის დეპარტამენტის წინააღმდეგ; სამართალწარმოების საგანს წარმოადგენს მოქალაქის მიმართ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დროს განხორციელებული შესაძლო დისკრიმინაციული ქმედება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიმოიხილა დისკრიმინაციის, როგორც სამართლებრივი ცნებისა და კატეგორიის არსი და ადგილი სამართლის საერთაშორისო თუ ეროვნ-

ნულ წყაროებში.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, პრეცედენტული სამართალი ცალსახად განვითარებულია იმ მიმართულებით, რომ ცალკე აღებული მე-14 მუხლი – დისკრიმინაციის აკრძალვა, არ ქმნის დამოუკიდებელ და სრულყოფილ უფლებას; ეს ასე ვთქვათ „ნახევრად უფლება“ კავშირშია და დამოკიდებულია სხვა – უკვე არსებით და თვითმყოფად, დამოუკიდებელ უფლებაზე და განიხილება ამ დამოუკიდებელი უფლების ქრილში და აუცილებლად მასთან ერთად.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ამ პრინციპების და პრაქტიკის შესაბამისია ასევე ეროვნული კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კანონის პირველივე მუხლი ადგენს, რომ ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად (ნათელია, რომ დაცულ ნიშანთა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, ანუ სახეზე გვაქვს ნიშანთა ეგრეთწოდებული – OPEN END). მოცემული რეგულაცია პირდაპირ უთითებს, რომ ეს კანონი სწორედ სხვა – კანონმდებლობით დადგენილი უფლებების თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფას ემსახურება. მნიშვნელოვანია ამ კანონის მე-3 მუხლის რეგულაცია, რომლის თანახმადაც, „კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში“. ანუ, ნორმა პირდაპირ აწესებს, რომ ეს კანონი და მისი დანაწესები (რომ პირებმა უნდა თანასწორად ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით), ვრცელდება არა მხოლოდ კერძო სამართლის სუბიექტებზე და კერძოსამართლებრივ ბრუნვაზე, არამედ ასევე საჯარო დაწესებულებებზე და ამ დაწესებულებათა საქმიანობის ყველა სფეროზე. საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის უმთავრესი მიმართულება კი საჯარო სამართლებრივი ფუნქციების განხორციელებაა. კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი დაწესებულება ვალ-

დებულია თავისი საქმიანობა და სამართლებრივი აქტები შეუსაბამოს ამ კანონს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ისევე როგორც ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი არის სხვა მუხლების შემეხვეტი და ასევე გარანტი იმისა, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებანი თანასწორად იქნეს გავრცელებული ყველაზე, ასევე აღნიშნული კანონიც გარანტია, რომ საქართველოს კანონმდებლობა (სამართლის რომელი დარგისაც არ უნდა იყოს იგი) თანასწორად იქნება შეფარდებული ყველა პირის მიმართ. შესაბამისად, სასამართლომ მართებულად მიიჩნია მოცემულობა, რომ საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მივიჩნიოთ ასე ვთქვათ – „ზედარგობრივ“ სამართლის წყაროდ, ანუ სამართლის ისეთ წყაროდ, რომელსაც ყველა შინაარსის – კერძო თუ საჯარო სამართალურთიერთობაში გამოიყენებს კერძო თუ საჯარო პირი თუ დანესებულება. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, ვერ იქნება გამართლებული მსჯელობა, რომ ეს კანონი სამოქალაქოსამართლებრივი შინაარსისაა და ამიტომაც ყველა დავა, რომელიც მისი გამოყენებით უნდა გადაწყდეს, სამოქალაქოსამართლებრივია. აღნიშნული დასტურად კოლეგიამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებზე განსჯადობის საკითხების გადაწყვეტის თაობაზე (მაგ: №ბს-411-406(გ-16), მითუფრო განჩინება №ბს-610-604(გ-16)), რომლებიც ადასტურებენ, რომ გარკვეულ გარემოებებში ასეთი დავა შესაძლოა იყოს ადმინისტრაციული ხასიათის მატარებელი.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, გარკვეულ დისონანსს და გაუგებრობის საგნობრივი საკითხის განსჯადობაში თითქოს ქმნის ის გარემოება, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების მომწესრიგებელი პროცესუალური ნორმები, სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში აისახა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განსჯადობას არ განაპირობებს ის, თუ რომელ საპროცესო კოდექსში არის გათვალისწინებული დისკრიმინაციული ხასიათის დავის განხილვის მომწესრიგებელი ნორმები. საპროცესო ნორმების ამა თუ იმ კოდექსში განთავსება არ ცვლის და არ განაპირობებს საგნობრივი განსჯადობის ხასიათს; სამოქალაქო საპროცესო ნორმებს თავისუფლად გამოიყენებს ადმინისტრაციული სასამართლოც მაშინ, როცა ის განიხილავს დისკრიმინაციული შინაარსის მქონე სარჩელს.

ამასთან, სასამართლოს მითითებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი ვერ მიიჩნევა მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი შინაარსის მატარებელ სამართლის წყაროდ და შესაბამისად, ყველა ისეთი დავის განხილ-

ვა, რომელიც დააყენებს სამართალწარმოების დროს ამ კანონის რეგულაციათა გამოყენების აუცილებლობის საკითხს, ავტომატურად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით არ უნდა იქნეს განხილული.

კონვენციის მე-14 მუხლი და ასევე ეროვნული კანონმდებლობა, მათ შორის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, უზრუნველყოფს საქართველოს ყველა დარგის კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანაბრად სარგებლობას ყველა პირისათვის. შესაბამისად, კოლეგიის მითითებით, ის ფაქტი თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარე უფლებით თანასწორად სარგებლობის გამორიცხვასაც ეხება ესა თუ ის სარჩელი, იმ კატეგორიით უნდა განისაზღვროს დავის საგნობრივი ხასიათიც.

სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე სარჩელი მიმართულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურის წინააღმდეგ და მასში მითითებულია, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა მოქალაქის დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, მაშინ როდესაც მოპასუხის თანამშრომლები ახდენდნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირებას ანუ ისინი ასრულებდნენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსამართლეს, რომელიც საბოლოო ჯამში განიხილავს წინამდებარე სარჩელს, მოუწევს დავის გადანყვეტისას იხელმძღვანელოს არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7<sup>3</sup> კარით, არა მხოლოდ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციებით, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობითაც.

საბოლოოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ დავა ეხება მეტად მნიშვნელოვან – საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილ ქმედებას. მოპასუხეს დავაში წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. დავის საგანი და შინაარსი კი ამ ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი ქმედებაა. შინაგან საქმეთა სამინისტრო და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და ისინი ხელმძღვანელობენ ადმინისტრაციული კანონმდებლობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დროს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკა-



ნონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სა- მოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დ. ხ-ას სარჩელი მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ დისკრიმინაციული მოპყობის ფაქტის დადგენისა და მო- რალური ზიანის ანაზღაურების შესახებ უნდა განიხილოს უფლე- ბამოსილმა სასამართლომ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქ- მის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი- ნისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამ- დე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა- ციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამო- ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალა- ქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლე- ბის, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამუ- ლო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალა- ქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ით- ვალისწინებს ცალკე დისკრიმინაციული ფაქტის შესახებ დავის გა- დანყვეტის მექანიზმს, კოდექსი ტაქსაციის მეთოდის გამოყენე- ბით იძლევა ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კერ- ძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე- 2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმი- ნისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმი- ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების და- დება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამარ-



თლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.3 მუხლის საფუძველზე, დადგინდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს №2 განყოფილების პატრულ ინსპექტორების ქმედებებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო დანესებულების მხრიდან, მის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს დ. ხ-ასთვის მორალური ზიანის ანაზღაურება 7000 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილ სარჩელში აღნიშნულია, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, მიუხედავად იმისა, რომ შეიტყვეს დ. ხ-ას პრობლემის შესახებ, უხეშად ფიზიკური ძალის გამოყენებით არ მისცეს საშუალება თანმხლებ პირებს ეტლის მანქანიდან გადმო-

ტანისა. შესაბამისად, დ. ხ-ას არ მიეცა უფლება თავისუფლად გამოეყენებინა ეტლი და დაეკმაყოფილებინა ბუნებრივი მოთხოვნილება. ჯატრულ-ინსპექტორების მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ დ. ხ-ა იმყოფებოდა განსხვავებულ მდგომარეობაში და მას ესაჭიროებოდა განსხვავებული მოპყრობა. კერძოდ, სამართალდამცავების მხრიდან უმოქმედობაც კი გამოინვეცდა და მოსარჩელის კანონიერი უფლებების დარღვევას.

სარჩელში ასევე აღნიშნულია, რომ განსახილველ შემთხვევაში ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის, რომ პიროვნებას შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის უფლება და პატრულ-ინსპექტორებმა არ გაითვალისწინეს და უგულებელყვეს მოსარჩელის საჭიროებები. სარჩელში მითითებულია, რომ დ. ხ-ას სრული უფლება ჰქონდა ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნის გარეშეც გადმოსულიყო მანქანიდან, ვინაიდან იგი არ იყო ოფიციალურად დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული. ის, რომ პატრულ-ინსპექტორებმა დ. ხ-ას არ მისცეს საპირფარეშოთი სარგებლობის უფლება, კიდევ უფრო ამძიმებს მათი ქმედების კანონსაწინააღმდეგობის ფაქტს და არავითარ გამართლებას არ აძლევს მათ ქმედებას, ვინაიდან, მოსარჩელის მითითებით, პოლიციის ეთიკის კოდექსის თანახმად, მათ ევალებოდათ მისი, როგორც საზოგადოების სრულფასოვანის წევრის დახმარება.

სარჩელში პატრულ-ინსპექტორების ქმედების უკანონობასთან დაკავშირებით მითითებულია როგორც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციისა“ და პოლიციის ეთიკის კოდექსის ნორმებზე. წარმოდგენილი სარჩელის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ პატრულ-ინსპექტორებს პირდაპირ ევალებოდათ დ. ხ-ასთვის დახმარების აღმოჩენა, მათ არათუ თავად არ მიაწოდეს მოსარჩელეს ეტლი, როდესაც ამას ითხოვდა, პირიქით, ხელი შეუშალეს მეგობრებს ეტლის გადმოღებაში და უხეში მოძრაობით დახურეს საბარგულის კარები. მოსარჩელის მითითებით, პატრულ-ინსპექტორებმა უსაფუძვლოდ არ მისცეს მას გადაადგილების საშუალება, რის გამოც მოახდინეს უფლების დაცულ სფეროში ჩარევა და დაარღვიეს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გარანტირებული თავისუფალი მიმოსვლის უფლება.

ამდენად, წარმოდგენილი სარჩელით დ. ხ-ა უკანონოდ მიიჩნევა პატრულ ინსპექტორების ქმედებას, რის მოტივაცაც მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტს ასახელებს. სარჩელის არსიდან გამომდინარე შეფასების ძირითად საგანს სწორედ პატრულ-

ინსპექტორების მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დროს შესაძლო დისკრიმინაციის მოტივით განპირობებული უკანონო ქმედების შეფასება და შესაბამისად, მოპასუხისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება წარმოადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვს, რომელიც ადმინისტრაციული დავის საგნად განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28' მუხლზე და განმარტავს, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით და შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. მოსამართლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას – მიზანშეწონილი და შესაძლებელია თუ არა სარჩელის ტრანსფორმირება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარჩელის სწორად ფორმულირება არის ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოხატულება. ერთი მხრივ, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს სასამართლოს აქტიურობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო, მიუხედავად მისი აქტიური როლისა, უფლებამოსილი არ არის, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათისა და სარჩელის ტრანსფორმირების შესაძლებლობისა, სასამართლოები შეზღუდული არიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე და მე-3 მუხლების მოქმედებით, რომელთა მიხედვითაც, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს მხარეებს ის, რაც არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დ. ხ-ა წარმოდგენილი სარჩელით სადავოდ ხდის პატრულ-ინსპექტორების მიერ მის მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებას დისკრიმინაციის მოტივით. სარჩელში დასახელებული გარემოებებით თუ მოხმობილი სამართლებრივი ნორმებით მორალურად მიუთითებს მის მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებაზე. ამდენად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სარჩე-

ლის შინაარსი და მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს უნდა მისცეს სასარჩელო მოთხოვნის სწორად ფორმულირების შესაძლებლობა, რის შედეგადაც წარმოდგენილი სარჩელის შინაარსი და სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირება შესაბამისობაში მოვა ერთმანეთთან. განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის სარჩელის შინაარსთან შეუსაბამოდ ფორმულირებამ გამოიწვია დავა საგნობრივი განსჯადობის თაობაზე. სასარჩელო მოთხოვნის სწორი ფორმულირების პირობებში, სადაც დისკრიმინაციის მოტივით ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი დადგება, ცალსახად გამოიკვეთება ადმინისტრაციული კოლეგიის ქვემდებარე ადმინისტრაციული დავა, რომელიც დაფუძნებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განხორციელებულ შესაძლო უკანონო ქმედებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კერძოდ, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალწარმოება რეგლამენტირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7<sup>3</sup> კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიუთითებს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას პატრულ-ინსპექტორების უკანონო ქმედებაზე, რის საფუძველადაც ასახელებს პატრულ-ინსპექტორების მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობას, აღნიშნულიდან გამომდინარე კი ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსთვის მორალური ზიანის დაკისრებას. დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხი მოსარჩელეს დასმული აქვს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების უკანონობასთან კავშირში. ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებით გამოწვეული ზიან-

ნის ანაზღაურება კი სცილდება სამოქალაქო კოლეგიის განსჯადობის ფარგლებს. სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციის მოტივით ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს, სადაც კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს. ამდენად, ვინაიდან სარჩელის მიზანი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედების დისკრიმინაციულობის დადგენაა, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავა ადმინისტრაციული კატეგორიისაა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დავის განხილვისას გამოიყენებს სსკ-ის VII<sup>3</sup> კარის დებულებებს, რომლებიც არეგულირებენ ამ სახეობის დავების სპეციფიკას, არ ცვლის განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. შესაბამისად, არსებობს სსკ-ის VII<sup>3</sup> კარით დადგენილი წესების გამოყენების საფუძველი ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განხილვისას. ამასთანავე, სასამართლო, რომელიც მის განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის სრულ კომპეტენციას, საქმის განხილვის პროცესში იგი უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს დავის გადანყვევისათვის საჭირო ყველა ნორმატიული აქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქმე – დ. ხ-ას სარჩელისა გამო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გარკვეული  
ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მორალური  
ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-724(გ-19)

4 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 14 ივნისს მ. მ-მა და გ. ე-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდების ადაპტირებით უსინათლო/მცირემხედველთათვის, ასევე სამინისტროს მიერ მოსარჩელეთათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდების ადაპტირების განუხორციელებლობით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით.

სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელები წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე – უსინათლო და მცირემხედველ პირებს და მათთვის შეუძლებელია დამოუკიდებლად მიიღონ ინფორმაცია ელექტრონული წყაროებიდან უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის სპეციალური ტექნიკური თუ პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი არ არის მისაწვდომი/ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, კერძოდ, უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი ვერ სარგებლობენ ვერც სა-



მინისტროს და ვერც სააგენტოს ვებგვერდით. სამინისტროს პრაქტიკა, კერძოდ, სამინისტროსა და სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდების არაადაპტირებულობა უსინათლო/მცირემხედველი პირებისათვის თავისი არსით დისკრიმინაციულია, რადგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხსენებული ჯგუფის წევრებს, იმ პირებისგან განსხვავებით, რომლებიც არ წარმოადგენენ უსინათლო/მცირემხედველ პირებს, ართმევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღონ ინფორმაცია დასაქმების, ჯანდაცვის, სოციალური თუ სხვა მნიშვნელოვანი პროგრამებისა თუ ამ სფეროებში განხორციელებული პროექტების/სიახლეების თაობაზე ოფიციალური ელექტრონული რესურსებიდან. სამინისტროს დისკრიმინაციული პრაქტიკა თანასწორობის უფლებაში ჩარევასთან ერთად, იწვევს მოსარჩელეთა სხვა კონსტიტუციურ უფლებებში და თავისუფლებებში, ასევე საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ უფლებებში გაუმართლებელ ჩარევას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 ივნისის განჩინებით მ. მ-ისა და გ. ე-ის სარჩელი მოპასუხე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები, კერძოდ, მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.



„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-73 კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მითითებით, კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრისა და ზიანის ანაზღაურების საქმეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს, შესაბამის საქმეთა განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით სპეციალური წარმოებაა განსაზღვრული. სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და მორალური ზიანის ანაზღაურებას მხარე ითხოვს იმ საფუძვლით, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდები არ არის ადაპტირებული უსინათლო/მცირემხედველთათვის. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის საკითხი შემხებლობაში არ არის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეობებთან, რაც კოლეგიის მითითებით, გამორიცხავს მოსარჩელეთა მოთხოვნის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 ივლისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 10 აგვისტოს საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge) არაადაპტირებულობის გამო, დისკრი-

მინაციის ფაქტის დადგენის, ვებგვერდის [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge) უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის ადაპტირების გზით, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნების ნაწილში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიჩნეულ იქნა არასათანადო მოპასუხედ და ამავე განჩინების თანახმად, მოთხოვნების ამ ნაწილში სათანადო მოპასუხედ მიჩნეულ იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 10 აგვისტოს საოქმო განჩინებით დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნები და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: 1. დადგინდეს დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან მოსარჩელების – მ. მ-ისა და გ. ე-ის მიმართ, ოფიციალური ვებგვერდის [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge) არაადაპტირებულობის გამო; 2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს ოფიციალური ვებგვერდის [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge) უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის ადაპტირების გზით დისკრიმინაციული შედეგების აღმოფხვრა; 3. დადგინდეს დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან მოსარჩელების – მ. მ-ისა და გ. ე-ის მიმართ, ოფიციალური ვებგვერდის [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge) არაადაპტირებულობის გამო; 4. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს ოფიციალური ვებგვერდის [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge) უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის ადაპტირების გზით დისკრიმინაციული შედეგების აღმოფხვრა; 5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მოსარჩელების – მ. მ-ისა და გ. ე-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროს ვებგვერდების ადაპტირების განუხორციელებლობით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 6 მაისის განჩინებით აღიძრა დავა განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით მ. მ-ის და გ. ე-ის სარჩელისა გამო მოპასუხების – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, დისკრიმინაციის ფაქ-

ტის აღმოფხვრისა და მორალური ზიანის დაკისრების შესახებ წარმოდგენილ სარჩელზე და საქმე განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, 2018 წლის 23 აპრილს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა სადავო გახადა განსჯადობის საკითხი და მიუთითა, რომ ვინაიდან წარმოდგენილი სარჩელის საფუძველია სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციით გარანტირებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა, სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენს. შუამდგომლობას განსჯადობაზე დავის დაწყების თაობაზე მხარი დაუჭირა როგორც მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ისე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი განსაზღვრავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ საქმეებს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა ჩამონათვალს. სასამართლოს მითითებით, განსჯადობის საკითხში კანონმდებელმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა სადავო სამართალური თეორიის ბუნებას და არა მის მონაწილეებს, ვინაიდან თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსითვე განისაზღვრა, რომ კერძო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო ორგანოც.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები. განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელეთა მიერ სადავოდაა გამხდარი მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევა და სახელმწიფოს – ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დადგენილი პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა. შესაბამისად, სარჩელის არსი არის მორალური ზიანის ანაზღაურება დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის გამო.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში არსებითია, რომ გარდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და აღმოფ-

ხერისა, მოსარჩელები მოითხოვენ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოებისგან მორალური ზიანის ანაზღაურებას. სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხეთა მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არის ადმინისტრაციული წესით განსახილველი, ვინაიდან მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ სახელმწიფო ორგანოსგან, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

ამდენად, ვინაიდან მოსარჩელეთა მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსახილველს და ვინაიდან როგორც საკანონმდებლო რეგულაციებიდან ირკვევა შეუძლებელია ხელოვნურად დაყოფა ცალკე ელემენტებად, დავა საჯარო-სამართლებრივი ხასიათისაა და გამომდინარეობს საჯარო კანონმდებლობიდან. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, დისკრიმინაციის ფაქტის აღმოფხვრის და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა ცალ-ცალკე სამართალწარმოების წესით არამართებულია, რის გამოც დავის საგნის ამგვარი დაყოფა გამოინვევს მოსარჩელის უფლებების ხელყოფას მისი სარჩელი განიხილოს უფლებამოსილმა სასამართლომ. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული იქნება იმ გონივრული ვადის სტანდარტის უგულებელყოფა, რაც რეგლამენტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლში, რომლის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ამდენად, სასამართლოს მითითებით, სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, დავაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესით განსახილველი მორალური ზიანის ანაზღაურება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სწორედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით უნდა მოხდეს წარმოდგენილი სარჩელის განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-

ნისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ცალკე დისკრიმინაციული ფაქტის შესახებ დავის გადანაცვების მექანიზმს, კოდექსი ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით იძლევა ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა საბოლოოდ ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: 1. დადგინდეს დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან მოსარჩელების – მ. მ-ისა და გ. ე-ის მიმართ, ოფიციალური ვებგვერდის [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge) არაადაპტირებულობის გამო; 2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს ოფიციალური ვებგვერდის [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge) უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის ადაპტირების გზით დისკრიმინაციული შედეგების აღმოფხვრა; 3. დადგინდეს დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან მოსარჩელების – მ. მ-ისა და გ. ე-ის მიმართ, ოფიციალური ვებგვერდის [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge) არაადაპტირებულობის გამო; 4. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს ოფიციალური ვებგვერდის [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge) უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის ადაპტირების გზით დისკრიმინაციული შედეგების აღმოფხვრა; 5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მოსარჩელების – მ. მ-ისა და გ. ე-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროს ვებგვერდების ადაპტირების განუხორციელებლობით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით.

სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელები წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე – უსინათლო და მცირემხედველ პირებს და მათთვის შეუძლებელია დამოუკიდებლად მიიღონ ინფორმაცია ელექტრონული წყაროებიდან უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის სპეციალური ტექნიკური თუ პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე. მოსარჩელეთა განმარტებით, არც სამინისტროს და არც სააგენტოს ვებგვერდი არ არის მისაწვდომი/ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, კერძოდ, უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის. ინფორმაცი-

აზე წედომის არარსებობა კი, თავისთავად იწვევს სხვა კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის არათანასწორი შესაძლებლობის არსებობას. ამდენად, მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ სამინისტროს და სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდების ხელმისაწვდომობის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობამ გამოიწვია მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კერძოდ, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალწარმოება რეგლამენტირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7<sup>3</sup> კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოდგენილი სარჩელის საფუძველია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე კონსტიტუციით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა, რამაც, მოსარჩელეთა მოსაზრებით, გამოიწვია მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა. აღნიშნულიდან გამომდინარე კი მოსარჩელები მოითხოვენ დადგინდეს მათ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტი, რომელიც მათი მტკიცებით, სწორედ სამინისტროსა და სააგენტოს მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ განაპირობა, ასევე მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალოს ოფიციალური ვებგვერდების უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის ადაპტირების გზით დისკრიმინაციული შედეგების აღმოფხვრა და დაეკისროთ ვებგვერდების ადაპტირების განუხორციელებლობით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია სოციალური სახელმწიფოს პრინციპი. კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სა-



მართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები. კონსტიტუციის 11.4 მუხლის მიხედვით კი, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

განსახილველ შემთხვევაში დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხი მოსარჩელებს დასმული აქვთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის კავშირში, რაც სცილდება სამოქალაქო კოლეგიის განსჯადობის ფარგლებს. საკასაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული ორგანო ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასა თუ მასთან შემხებლობაში არსებულ სხვა საიხლებთან დაკავშირებით, აგრეთვე, საზოგადოების წინაშე სახელმწიფო ორგანოს ანგარიშვალდებულებასა და საქმიანობის გამჭვირვალობის ხელშეწყობას. ოფიციალური ვებგვერდის მართვა წარმოადგენს საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრულ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. მოსარჩელები სადავოდ ხდიან სწორედ აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გარკვეული ვალდებულებების შეუსრულებლობას, რამაც მოსარჩელეთა მტკიცებით, მათი უფლებების შეზღუდვა და დისკრიმინაციული მოპყრობა განაპირობა. დავა თავისი არსით შეეხება პოზიტიური ვალდებულებების განუხორციელებლობით სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მოსარჩელებისათვის ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განმტკიცებული უფლებების შესაძლო შეზღუდვასა და დისკრიმინაციის ფაქტს, რაც ზემოხსენებულ სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, დავის საჯარო ხასიათს უსვამს ხაზს და ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დავის განხილვისას გამოიყენებს სსკ-ის VII<sup>3</sup> კარის დებულებებს, რომლებიც არეგულირებენ ამ სახეობის დავების სპეციფიკას, არ ცვლის განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. შესაბამისად, არსებობს სსკ-ის VII<sup>3</sup> კარით დადგენილი წესების გამოყენების საფუძ-

ველი ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განხილვისას. ამასთანავე, სასამართლო, რომელიც მის განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის სრულ კომპეტენციას, საქმის განხილვის პროცესში იგი უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს დავის გადანყევებისათვის საჭირო ყველა ნორმატიული აქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადანყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქმე – მ. მ-ისა და გ. ე-ის სარჩელისა გამო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გადანყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული  
დავის განსჯადობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-747(გ-19)

4 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ბ. ალავეძე**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 12 სექტემბერს შ. ჩ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელ – მ. ბ-ის მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით შ. ჩ-ის სასარჩელო მოპასუხე მ. ბ-ის მიმართ, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თავდაპირველად სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელე მხარეს დაუდგინდა ხარვეზი. ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მოსარჩელემ 2018 წლის 5 ოქტომბერს დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხე პირთა წრე. მოსარჩელემ მოპასუხედ მიუთითა მ. ბ-ი და მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები, კერძოდ, მე-2 მუხლის პირვე-

ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს მ. ბ-ი, ხოლო სარჩელის მოთხოვნას – მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სამოქალაქო საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის. სასამართლოს მითითებით, მოცემული დავა სწორედ სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადაწყვეტილი ისეთი ნორმატიული ელემენტი, როგორიცაა დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში დავა არის კერძო სამართლის სუბიექტებს შორის და წარმოდგენილი სარჩელი განეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიას და განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ შ. ჩ-ის სარჩელი განსჯადობის წესის დაცვით უნდა გადაგზავნოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 22 აპრილის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად, საქმე შ. ჩ-ის სარჩელისა გამო მ. ბ-ის მიმართ, გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასამართლოს მითითებით, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს კონკრეტული საქმე; სასამართლომ არსებითად მიიჩნია აღნიშნული ნორმების დაცვა, რამდენადაც განსჯადობის წესის დარღვევით საქმის გადაწყვეტა ადასტურებს საქმის უხეში პროცესუალური დარღვევებით წარმართვის ფაქტს, რაც სავალდებულოდ იწვევს განსახილველ საქმეზე მიღებული პროცესუალური დოკუმენტების გაუქმებას. განსჯადობის შემონგების დროს მნიშვნელოვანია სწორად იქნეს განსაზღვრული დავის საგანი, რაც შესაძლებელს ხდის სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ნორმათა ანალიზს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გადაწყდეს მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო-სამართლებრივი საკითხი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველ ნაწილზე, ასევე ამავე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, კანონით, სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვაც.

სასამართლოს მითითებით, შ. ჩ-ის სარჩელი არ განეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით

განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიას, რომლებსაც სასამართლოე-ბი განიხილავენ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. აღძრუ-ლი დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონ-მდებლობიდან.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევი-სა და მისი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილ-ვისათვის განმსაზღვრელია დავის საგანი და ურთიერთობის შინა-არსი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, ადმინისტრაციული კანონ-მდებლობიდან.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში დავის სა-განს წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებ-ლის – მ. ბ-ისათვის თანხის დაკისრება და მოსარჩელისათვის მიყე-ნებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელის მოთხოვნაა: 1. მ. ბ-ს დაეკისროს მოსარჩელისთვის მიყენებული მატერიალური თუ მო-რალური ზიანის ანაზღაურება 407 ლარის ოდენობით; 2. 2014 წლი-დან დღემდე სხვადასხვა ხარჯები – 150 ლარი; 3. მორალური ზია-ნის მიყენებისთვის მ. ბ-ს გადახდეს მისი ორი თვის ხელფასი.

სასამართლოს განმარტებით, სარჩელში მითითებული სამარ-თლებრივი ნორმები არ შეიძლება გახდეს საფუძველი დავის კატე-გორიის განსაზღვრისა, ვინაიდან მხარეებს არ მოეთხოვებათ სა-მართლის ნორმების ცოდნა და ამა თუ იმ დავისათვის მომწესრიგე-ბელი ნორმის არასწორად მისადაგება არ შეიძლება გახდეს მარ-თლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველი. და-ვის კატეგორიის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რა ნორმას უთითებს მოსარჩელე სარჩელში, არამედ იმ ფაქტს, თუ რას მიიჩნევს იგი თავისი უფლების დარღვევად, ვი-სი მხრიდან ჰქონდა ამ უფლების დარღვევას ადგილი და რა სამარ-თლებრივი შედეგის დადგომა სურს მოსარჩელეს. კონკრეტულ შემ-თხვევაში მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი უფლება დაირღვა აღ-სრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის მ. ბ-ის მართლსა-წინააღმდეგო ქმედებით და სურს ამ ქმედებით გამოწვეული მა-ტერიალური თუ მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ წარ-მოდგენილ განცხადებებზე და მიიჩნია, რომ მხარე უთითებს მ. ბ-ის, როგორც აღმასრულებლის და არა როგორც ფიზიკური პირის ან/და სამოქალაქო ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ქმე-დებზე და შესაბამისად, აღმასრულებლის ქმედების კანონთან შე-საბამისობის დადგენა ადმინისტრაციული წესით განსჯადი კატე-გორიაა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასთვის გარანტირებულია. სახელმწიფო ორგანოებსა და მისი თანამდებობის პირების მიერ უკანონო მოქმედებითა და გადანყვეტილებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების კონსტიტუციური დებულება ასახულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

ამასთან, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებლის ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეობის დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოწვევის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი ადმინისტრაციული ორგანოსათვის პასუხისმგებლობის დადგენის ნიშნებად მიიჩნევს: ა) ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, როგორც ზიანის მიმყენებლის სუბიექტის არსებობა; ბ) ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში; გ) ქმედების მართლწინააღმდეგობა; დ) ზიანი; ე) მიზეზობრივი კავშირი მართლწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

ასევე, სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.



სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ზიანის მიმყენებელი პირის სტატუსი არ არის საკმარისი სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, აუცილებელია მოხელის მიერ ზიანის მიმყენებელი ქმედება სხვა პირის მიმართ ჩადენილი იყოს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, ამასთან ამგვარი ქმედების შედეგად დაირღვეს ისეთი ვალდებულება, რომელსაც შეესაბამება სხვა, კერძო პირის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ აღნიშნა, რომ დავა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ ამ უკანასკნელის მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სხვა მოთხოვნა სარჩელში არ ყოფილა წარდგენილი, შესაბამისად, ის ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას განეკუთვნება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არ გვაქვს ტერიტორიული განსჯადობის შესახებ დავა და გადასაწყვეტ საკითხს წარმოადგენს მხოლოდ საგნობრივად განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი – შ. ჩ-ი, ხოლო თავად მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულია – მ. ბ-ი, რომელიც არის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელი; დავის საგანია – მოპასუხისათვის მატერიალური თუ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო სასამართლო მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია შეფასდეს სარჩელი მიმართულია მ. ბ-ის, როგორც ფიზიკური პირის, თუ როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის წინააღმდეგ. განსახილველ შემთხვევაში დავის კატეგორიის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, თუ რას

მიიჩნევს მოსარჩელე თავისი უფლების დარღვევად, ვისი მხრიდან ჰქონდა ამ უფლების დარღვევას ადგილი და რა სამართლებრივი შედეგის დადგომა სურს მას. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი უფლება დაირღვა აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის მ. ბ-ის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და სურს ამ ქმედებით გამოწვეული მატერიალური თუ მორალური ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს, გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი ხასიათი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც, ან – პირიქით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მონესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანების), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საჯარო ფუნქციების დელეგირება შესაძლებელია არა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არამედ აგრეთვე, კერძო სამართლის იურიდიულ პირზე და ფიზიკურ პირზეც. ამდენად, განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისათვის გადამწყვეტი მნიშ-

ვნელობა აქვს არა იმ ფაქტს, თუ კონკრეტულად ვის ასახელებს მოსარჩელე მოპასუხედ, არამედ დავის საგანს და მის შემხებლობას ფიზიკური პირის მიერ განხორციელებულ საჯარო ფუნქციებთან.

ამასთან, გასათვალისწინებელია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით უშუალოდ აღასრულებენ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე – აგრეთვე აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირები და აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორები (შემდგომ – აღმასრულებელი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღმასრულებელს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსაგან მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებამოსილებები, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს იგი და აღნიშნული მოქმედებები ემსახურება საჯარო-სამართლებრივ მიზანს. ამასთან, აღმასრულებლის მოქმედებები გამომდინარეობს საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ამდენად, აღმასრულებელი მ. ბ-ი განიხილება, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმანხორციელებელი პირი, რომელიც აღსრულებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებისას მოქმედებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით. შესაბამისად, მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ მოსარჩელე მოპასუხედ ასახელებს ფიზიკურ პირს მ. ბ-ს და არა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, არ აქცევს დავას სამოქალაქო-სამართლებრივად.

თუმცა, კონკრეტულ საქმეზე დამატებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის მიერ თავდაპირველად წარდგენილ სარჩელში მოპასუხედ დასახელებულია მ. ბ-ი, როგორც სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 სექტემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით 2018 წლის 5 ოქტომბერს წარდგენილ სარჩელში მოსარჩელემ მოპასუხედ მ. ჯ-თან ერთად მიუთითა თბილისის სააღსრულებო ბიუროც.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში ჩამოთვლილია მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლეები პირ-

ველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე.

აღსრულების პროცესში შეიძლება სადავო გახდეს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, ისე აღსრულების ღირებულება. შესაბამისად, დავები შეიძლება დაიყოს როგორც კერძო, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებად. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დავებს მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების აღსრულებისას მ. ბ-მა დაარღვია მოცემული გადაწყვეტილების სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნები, კერძოდ, ნაცვლად 400 ლარისა, მოსარჩელეს დაურიცხა 133 ლარი. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სადავოდა ქცეული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში აღმასრულებლის მოქმედება, რაც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს ატარებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.11 მუხლის შესაბამისად, სარჩელები (განცხადებები) ამ კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ საქმეებზე (მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები) სასამართლოში შეიტანება მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე განსჯადობით ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებუ-

ლი ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. შ. ჩ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სამოქალაქო განსჯადობა

### ქონების ნასყიდობის უსასხებო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე ღპვის განსჯადობა

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1594(გ-18)

12 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...მა“ 2018 წლის 17 აპრილს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხეთათვის შპს „...ის“ სასარგებლოდ 760 656 ლარის გადახდის სოლიდარულად დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 აპრილის განჩინებით №2/11174-18 სამოქალაქო საქმე – შპს „...ის“ სარჩელი სსიპ „საქართველოს მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდისა“ და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობის წესის დაცვით, განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორია და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორია. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნება, რად-



გან მოსარჩელის მოთხოვნა თავისი შინაარსით გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებას და 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს 2015 წლის 30 მარტის ქონების ნასყიდობის (კომპენსაციის) შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება. მითითებული ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველმა – შპს „...მა“ მყიდველს – სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საკუთრების უფლებით გადასცა სოფელ ... არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...) განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობები და 1817 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან 757 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, რის სანაცვლოდაც მყიდველს უნდა გადაეხადა კომპენსაცია 1 320 684 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, მყიდველს უნდა უზრუნველყო სოფელ ..... მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების სრული დემონტაჟი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 წლის ვადაში. მოსარჩელე მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 998-ე მუხლებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სამართალური თიერთობას არ გააჩნია საჯარო სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი, რის გამოც ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით შპს „...ის“ სარჩელი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერე-

ბა-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობ-

დეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს 2015 წლის 30 მარტის ქონების ნასყიდობის (კომპენსაციის) შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება. მითითებული ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველმა – შპს „...მა“ მყიდველს – სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საკუთრების უფლებით გადასცა სოფელ ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...) განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობები და 1817 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან 757 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, რის სანაცვლოდაც მყიდველს უნდა გადაეხადა კომპენსაცია 1 320 684 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, მყიდველს უნდა უზრუნველყოს სოფელ ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების სრული დემონტაჟი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 წლის ვადაში. მოსარჩელე მხარე ითხოვს მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით განხორციელებული მოქმედების ვალდებულ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომლის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 998-ე მუხლებზე. აღნიშნული მოთხოვნის განხილვა, ფაქტობრივად, დაკავშირებულია მხარეებს შორის გაფორმებული ქონების ნასყიდობის (კომპენსაციის) შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შეფასებაზე. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად დადგენას საჭიროებს მითითებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი,

ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შეფასებას იმის თაობაზე, რომ დავაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა განმსაზღვრელი არ არის დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადი, უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება, არამედ კერძო სამართლის სუბიექტის მიერ მის საკუთრებაში რიცხული ქონების სახელმწიფოზე განკარგვის შედეგად წარმოშობილი კერძოსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურ-ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამო-

ქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი. კერძოდ, სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, რომელიც კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს და რომლის დადების დროისთვისაც გამოყენებულ იქნა სამოქალაქო სამართლის ნორმები. წარმოდგენილი სარჩელით შპს „...ი“ ითხოვს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 998-ე მუხლების თანახმად ხელშეკრულების პირობების დარღვევით განხორციელებული ქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი კერძოსამართლებრივია.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქმეში მონაწილე მხარეთა სტატუსისა და მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წარმოდგენილი სარჩელით სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან და მოცემულ საქმეში აღძრული სარჩელით გათვალისწინებული ურთიერთობა არ უკავშირდება მოპასუხის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, რის გამოც, მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემ-

დებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **განაჩენით დადასტურებული დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯა**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-436(გ-19)

16 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ა-ემ 2018 წლის 23 ივლისს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – ბ. ა-ას, გ. მ-ის, ლ. ქ-ასა და მ. ქ-ას მიმართ, მოპასუხეებისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 თებერვლის განჩინებით მ. ა-ის სარჩელი მოპასუხეების – ბ. ა-ას, გ. მ-ის, ლ. ქ-ასა და მ. ქ-ას მიმართ განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხეების – ბ. ა-ას, გ. მ-ის, ლ. ქ-ასა და მ. ქ-ასათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. აღნიშნულის საფუძველად მოსარჩელე მიუთითებს შემდეგ გარემოებებს: 2006 წლის იანვრის დასაწყისში სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბ.

ა-ამ მიიღო ინფორმაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დანესებულებიდან პატიმართა შესაძლო გაქცევის შესახებ. ბ. ა-ამ, რომელსაც ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე ჰქონდა გამოძიების დანყების ვალდებულება, გადაამეტა თავის უფლებამოსილებას – არ უზრუნველყო გამოძიების დანყება, დაგეგმა და სისრულეში მოიყვანა მ. გ-ის, რ. ს-ისა და მა. ა-ის მკვლელობა. კერძოდ, მოპასუხეების მიერ დაიგეგმა „...ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ამჟამად გარდაცვლილი პირების მიტყუება და შემდეგ მიზანმიმართული ინტენსიური სროლა უიარალო მ. გ-ის, რ. ს-ისა და მა. ა-ის მიმართულებით. სპეცოპერაციის დასრულების შემდგომ, საზოგადოების არასწორი ინფორმირების მიზნით, სპეცოპერაციის მიმდინარეობა გაყალბდა და ვიდეოფირზე აისახა ისეთი ფორმით, რომ თითქოსდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა განახორციელეს შეიარაღებულ დამნაშავეთა დევნა, რომლებმაც, თავის მხრივ, ცეცხლი გაუხსნეს პოლიციის თანამშრომლებს და მათი ლიკვიდაცია მოხდა საპასუხო სროლის დროს, რაც წარმოადგენდა შემთხვევის არასწორ ინსცენირებას. მოსარჩელის განმარტებით, მან სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გასული სიუჟეტიდან შეიტყო პირველად შეილის – მა. ა-ის დალუპვის შესახებ, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა როგორც მოსარჩელის, ისე მისი ოჯახის წევრების ფსიქიკაზე. ზემოაღნიშნული მკვლელობის ფაქტზე დამნაშავეებად იქნენ ცნობილი და პასუხისგებაში მიცემულნი ლ. ქ-ა, გ. მ-ი, გ. დ-ე და დ. ა-ა. ამასთან, სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ განმარტა, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეთა მიმართ გამომდინარეობს მათ მიერ, როგორც შესაბამისი თანამდებობის პირთა მიერ, ჩადენილი ქმედებიდან.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეთა, როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილი ქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. ამასთან, მისი განმარტებით, ქმედების განხორციელებისას ადგილი ჰქონდა ამ თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. ამდენად, სახეზეა დავის ადმინისტრაციული წესით განხილვის წინაპირობები – თანამდებობის პირი, როგორც ზიანის მიმყენებელი სუბიექტი და ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში. შესაბამისად, ვინაიდან სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწი-



ფო მოსამსახურის, ან საჯარო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს ადმინისტრაციული დავის საგანს, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებების გამოკვლევა და დადგენა წარმოადგენს სწორედ ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ საკითხს.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მოპასუხე მხარეს წარმოადგენენ მხოლოდ ის თანამდებობის პირები, რომლებმაც მოსარჩელის მითითებით გადაამეტეს სამსახურებრივ უფლებამოსილებას, სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სახელმწიფო/საჯარო მოსამსახურისა და სახელმწიფოს სოლიდარული ვალდებულება არ უნდა იქნეს გაგებული მისი კლასიკური გაგებით ისე, რომ ზიანის მიმყენებელი სახელმწიფოსთან ერთად გამოვიყვანოთ როგორც დავის ერთ-ერთი მხარე. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებში ყველა შემთხვევაში სახელმწიფო უნდა იყოს მოპასუხე მხარე, ხოლო ზიანის მიმყენებლის განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა, რაც დგინდება დავაზე სამართალწარმოების განხორციელების შედეგად, სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას ზიანის მიმყენებელ პირს მოსთხოვოს ამ ზარალის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის გარემოება, რომ მოპასუხეებს წარმოადგენენ მხოლოდ ის ფიზიკური პირები, რომლებმაც მოსარჩელის მითითებით თანამდებობის გამოყენებით გადაამეტეს სამსახურებრივ უფლებამოსილებას, არ შეიძლება გახდეს დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის წინაპირობა. მოქმედი კანონმდებლობა ადგენს საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისთვის არსებითია არა ის თუ რომელ ნორმას უთითებს მოსარჩელე სარჩელში, არამედ ის ფაქტი თუ რას მიიჩნევს იგი თავისი უფლების დარღვევად და რა სამართლებრივი შედეგების დადგომა სურს მას.

ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მ. ა-ის

სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებას და 2019 წლის 6 მარტის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე ფიზიკურ პირებს – ბ. ა-ას, გ. მ-ს, ლ. ქ-ასა და მ. ქ-ას დაეკისროთ დანაშაულით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება დაზარალებულ მა. ა-ის უფლებამონაცვლის – მ. ა-ის სასარგებლოდ. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის საგნობრივი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია მოპასუხეთა სტატუსი და სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, კერძოდ – შეფასებას საჭიროებს ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს დავა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოებისადმი დაქვემდებარებისათვის განმსაზღვრელი წინაპირობაა, რომ მოთხოვნის ადრესატი უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო და დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლების შესაბამისად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რომლის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ეკისრება. მოცემულ შემთხვევაში სარჩელზე მოპასუხეებს წარმოადგენენ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებული ფიზიკური პირები. სასარჩელო მოთხოვნას კი წარმოადგენს ამავე განაჩენით დადგენილი მსჯავრდების საფუძველზე, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

992-ე და 1005-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ სამოხელეო დანაშაულის ჩადენით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება პირს წარმოეშობა სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს უშუალოდ დანაშაულის ჩამდენის პირად პასუხისმგებლობას და მის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს უშუალოდ დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირისაგან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე) ან სახელმწიფოსაგან, ან – სახელმწიფოსთან ერთად, სოლიდარულად, დანაშაულის ჩამდენი სუბიექტისგან.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით გარანტირებულია დაზარალებულის უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან თვითმმართველობის სახსრებიდან. ამ უფლების დადგენით კანონმდებელი დაზარალებულს არ უზღუდავს უფლებას, ედავოს უშუალოდ ზიანის მიმყენებელ პირს, კერძო-სამართლებრივი დავის ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო განაჩენით დადასტურებული დანაშაულით მიყენებული ზიანისთვის – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავის სპეციალური საპროცესო ნორმებით დადგენილი წესით. ამდენად, მოსარჩელის გადასაწყვეტია, ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს სახელმწიფო ორგანოთა მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან თუ – უშუალოდ დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირისგან, ან – ორივესგან სოლიდარულად.

კოლეგიის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ აირჩია ედავოს განაჩენით მსჯავრდებულ პირებს და სწორედ მათ ასახელებს მოპასუხედ. შესაბამისად, დავა განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რადგან მასში არ მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო და დავა განეკუთვნება კერძო-სამართლებრივ კატეგორიას. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ დავაში მესამე პირის სტატუსით ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვის შემთხვევაშიც კი ვერ შეიცვლება დავის შინაარსი და კატეგორია. დავა უნდა გადაწყდეს არა ადმინისტრაციული, არამედ – სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, ხოლო დავის განხილვის სპეციალური წესი განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა ადმი-

ნისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას არ განეკუთვნებოდა და სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული განსჯადობის თაობაზე დავის დაწყების საფუძველი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული

ციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. სასამართლოში სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები და თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს, შესაბამისად, თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სუბიექტის მოპასუხედ დასახელების შესახებ (სსსკ-ის 3.1 მუხ.). სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირება არსებით მნიშვნელობას იძენს დავის განხილვაზე განსჯადი სასამართლოს განსაზღვრისათვის, რამდენადაც განსჯადი სასამართლოს დადგენა სწორედ სარჩელის ზუსტ, მოსარჩელის მიზნის შესაბამის განსაზღვრულობას უკავშირდება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ასეთ დროს არსებითია, მოსარჩელის ინტერესისა და მის მიერ დავის ფარგლებში მისაღწევი მიზნის მხედველობაში მიღება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიზანს წარმოადგენს მოპასუხედ დასახელებულ პირებს: ბ. ა-ას, გ. მ-ს, ლ. ქ-ას და მ. ქ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 200 000 (ორასიათასი) ლარის ოდენობით.

მოსარჩელე მიუთითებს მისთვის მოპასუხედ დასახელებული პირების – სახელმწიფო მოხელეების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შედეგად, მისი შვილის – მა. ა-ის განზრახ მკვლელობით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის მიყენების

ფაქტზე და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ამყარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 27 თებერვლის განაჩენით დადგენილ გარემოებებზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკითხის სიცხადისათვის აუცილებელია დავის საგნის – ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის აღძვრის საფუძვლის, მატერიალური კანონმდებლობის დადგენა, რაც განაპირობებს სამართალწარმოების შინაარსს. რამდენადაც, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად ან სამოქალაქო-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის ან კერძო-სამოქალაქო სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან ან სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ უნდა დადგინდეს მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებულია მოპასუხის მხრიდან საჯარო თუ კერძო მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში პირადი არაქონებრივი უფლებების მატერიალური სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზების საშუალებას იძლევა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი. პირის ვალდებულებას, რომელმაც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენა ზიანი, ამ ზიანის ანაზღაურების შესახებ ადგენს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი. მოსარჩელე სწორედ აღნიშნულს მიიჩნევს მისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნას უკავშირებს იმ ფსიქოლოგიურ სტრესს, რაც შვილის დაღუპვით განიცადა და სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით დადგენილი წესით ითხოვს არაქონებრივი ზიანისათვის ფულად ანაზღაურებას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ფიზიკური პირის სარჩელი მოპასუხედ დასახელებული ფიზიკური პირების მიმართ და ამ უკანასკნელთა მიერ განხორციელებული უკანონო მოქმედების შედეგად წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა. შესაბამისად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მართებულად იქნა მითითებული განაჩენით დადასტურებული დანაშაულით მიყენებული ზიანის განხილვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV<sup>3</sup> თავის სპეციალური საპროცესო ნორმებით დადგენილ სამართალწარ-

მოების წესზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს. ამასთან, საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებაზე მითითებას, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ აღძრულ სარჩელზე მოპასუხედ დასახელებული სუბიექტის სამართლებრივი სტატუსი განაპირობებს დავის საგნობრივ განსჯადობას. ამავდროულად, მითითებას საჭიროებს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით დადგენილი ნორმებით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან. შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოწვევის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა მიმართულია ფიზიკურ პირთა მიმართ და დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქმეში მონაწილე მხარეთა სტატუსისა და მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წარმოდგენილი სარჩელით სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან და მოცემულ საქმეში აღძრული სარჩელით გათვალისწინებული მიმართულია მოპასუხედ დასახელებული ფიზიკური პირების მიმართ, რის გამოც, მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც, სა-



ქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. მ. ა-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალთან  
დაკავშირებით შრომითი დავის განსჯადობა**

**ბ ა ნ ჩ ი ნ ა ბ ა  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ**

№ბს-515(გ-19)

4 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 30 ნოემბერს დ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ.

მოსარჩელემ თსუ რექტორის 2018 წლის 25 აპრილის №93/01-01 ბრძანებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო პერსონალის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი) სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსისთვის თსუ რექტორის 2018 წლის 15 მაისის №114/01-01 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის 2018 წლის 14 ივნისის სხდომის №1 შემაჯამებელი ოქმისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში ... საშტატო ერთეულზე თანამშრომელთა დამტკიცების ნაწილში კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში ... ორ საშტატო ერთეულზე თანამშრომელთა დამტკიცებისა და დ. მ-ის ნაცვლად სხვა თანამშრომელთა კანდიდატურების დამტკიცების ნაწილში „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო პერსონალის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი) თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 22 ოქტომბრის №252/01-01 ბრძანების ბათილად ცნობა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში ... თანამდებობაზე აღდგენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის დღიდან (2018 წლის 22 ოქტომბერი) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე თვეში 600 ლარის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 დეკემბრის განჩინებით დ. მ-ის სარჩელი, მოპასუხე – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნას წარმოად-

გენს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმისა და თანამშრომელთა დამტკიცების შესახებ რექტორის ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. დავის საგანს არ წარმოადგენს საკონკურსო კომისიის შექმნის ან კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტების ბათილად ცნობის საკითხი, რადგან სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 25 აპრილის №93/01-01 ბრძანება, რომლის საფუძველზეც გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი, კანონით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა. მოსარჩელე ითხოვს კონკურსის შედეგების გაუქმებას, სამსახურში აღდგენას და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობისა), მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დანესებულებებში) საქმიანობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა).

სასამართლოს განმარტებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის ორგანიზაციული მოწყობის საჯარო სამართლებრივი ფორმა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საჯარო მმართველობა. აღნიშნულ დანესებულებებში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად, გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა.

სასამართლოს მითითებით, გამონაკლისში მოქცეული საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც ახორციელებენ საჯარო მმართველობას, თუმცა მათი საქმიანობა არ ითვლება საჯარო სამსახურად. ეს გამართლებულია ამ სუბიექტების ფუნქციონირების უპირატესი ინტერესებით (მაგ. უნივერსიტეტების ავტონომიურობა და იქ დასაქმებულთა აკადემიური თავისუფლება), რაც არ შეიძ-

ლება შეიზღუდოს საჯარო სამსახურის სტატუსით.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1261 მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია გარდამავალ პერიოდში ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების წესი. 1261 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გარდამავალ პერიოდად ჩაითვალა 2017 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, ხოლო საჯარო დაწესებულებაში შრომითი გასამრჯელოს დანიშვნისა და წახალისების მიზნებისათვის – 2017 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, გარდა ამ მუხლის 11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. 1261 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გარდამავალ პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, ნევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) არ ვრცელდება ამ კანონის (გარდა ამ კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტისა, 35-ე, 36-ე და 39-ე-43-ე მუხლებისა) მოქმედება. ამ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები (გარდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხებისა) წესრიგდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს, სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში (სუს 11.09.2014წ. №ბს-350-316(გ-14) განჩინება). ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადავო აქტების გამოცემის საფუძვლებს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთუ ადმინისტრაცი-

ციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახეზე იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად (სუს დიდი პალატის 10.07.2007წ. №ბს-132-123(კ-07) განჩინება).

სასამართლოს მითითებით, სსიპ-ების მიერ თანამშრომელთა მიღებისას კონკურსის ჩატარების ფორმალური წესების დაცვის საჭიროების დადგენით, განსახილველ შემთხვევაში არ იცვლება კონკურსის შედეგად დასაქმებული პირის შრომით-სამართლებრივი სტატუსი, რადგან კონკრეტული პროცედურების განხორციელებისას საჯარო კანონმდებლობის ნორმების გამოყენება იმთავითვე არ აქცევს ურთიერთობას საჯარო-სამართლებრივად, ისევე როგორც – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმიანობისას სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება იმთავითვე არ გამოორიცხავს ქმედების საჯარო-სამართლებრივ ხასიათს. ასეთ შემთხვევაში განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეფასდეს დავის არსი, ქმედებათა შინაარსი, ურთიერთობის მახასიათებლები და სხვ. სწორედ აღნიშნული გარემოებების, არსებული ნორმატიული მოწესრიგების, საკანონმდებლო რეგულაციის მიზნის ერთობლივი შეფასების შედეგად არის შესაძლებელი ურთიერთობის საჯარო თუ კერძო სამართლისათვის მიკუთვნება... მხოლოდ ის, რომ კონკურსის ჩატარების ფორმალური წესები საჯარო-სამართლებრივ აქტებშია ასახული, არ ცვლის მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსობრივ დატვირთვას. ანალოგიური წარმატებით კონკურსის ფორმალური წესების დაცვით თანამშრომელთა სამსახურში მიღება შეიძლება მოახდინოს კერძო სამართლის იურიდიულმა პირმაც (აღნიშნულს კანონი არ კრძალავს), რაც რა თქმა უნდა, არ აქცევს მასთან დასაქმებულ პირებს საჯარო მოხელეებად და დავას – ადმინისტრაციულ-სამართლებრივად... ამდენად, სადავო აქტში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმების მითითება, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით კონკურსის ჩატარება არ გამოორიცხავს დავის სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით განხილვას, რადგან სსიპ-სა და მის თანამშრომელს შორის არსებული შრომითი ურთიერთობა სადავო აქტების გამოცემის მომენტისათვის კერძო-სამართლებრივი იყო (სუს 01.08.2018წ. №221-221(გ-18) განჩინება).

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა ვერ მიიჩნევა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად, რადგან

გასაჩივრებელი – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 22 ოქტომბრის ბრძანების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის (რექტორის) სტატუსს და დანიშვნის წესს. ასევე, 37<sup>3</sup> მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, რომელთა თანახმად, სამეცნიერო პერსონალთან იდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულება და აკადემიური თანამდებობისა და სამეცნიერო თანამდებობის შეთავსების საკითხი განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.

შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად არ ეფუძნება ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიმართ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით არ არის გამოწვეული მოპასუხის მხრიდან საჯარო მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით, ხოლო ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვას განაპირობებს საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა და/ან საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მონესსრიგებული სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავის საგნის არსებობა, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის, ადმინისტრაციული კოლეგია ვერ იქნება მოცემულ დავასთან დაკავშირებით განსჯადი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს სამოქალაქო წესით განსახილველ სამოქალაქო დავას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 დეკემბრის განჩინებას და 2019 წლის 26 მარტის განჩინებით სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა ჩამონათვალი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის

თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. მითითებული ჩამონათვალის გარდა, კომპეტენციის სფეროს გამიჯვნისათვის გამოიყენება ზოგადი კრიტერიუმი (ენუმერაცია), რომლის მიხედვითაც, ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციულ სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სასამართლოს განმარტებით, წინამდებარე სამართალწარმოება მიმართულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ; სამართალწარმოების საგანს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა, რა მიზნითაც უნდა დადგინდეს თავად კონკურსის ჩატარებისა და შედეგების კანონიერება. კერძოდ, გასაჩივრებულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 15 მაისის №114/01-01 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის 2018 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმი და რექტორის 2018 წლის 22 ოქტომბრის №252/01-01 ბრძანება, ასევე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 25 აპრილის №93/04-01



ბრძანება, რომლითაც გამოცხადდა კონკურსი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გარდამავალ პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) არ ვრცელდება ამ კანონის (გარდა ამ კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტისა, 35-ე, 36-ე და 39-ე-43-ე მუხლებისა) მოქმედება. ამ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები (გარდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხებისა) წესრიგდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა წესრიგდება არა კერძო, არამედ საჯარო სამართლით. კონკურსის ჩატარების წესი, რომლითაც იხელმძღვანელა მოპასუხე დაწესებულებამ, შემუშავებულია „უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/6 ბრძანებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. შესაბამისად, დავის გადაწყვეტაც საგნობრივად სწორი განსჯადობით ადმინისტრაციული სამართალწარმოებით უნდა განხორციელდეს.

ამასთან, მოპასუხე საჯარო სამართლის იურიდიული პირი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, სადავოდ ქცეული გადანყვეტილებები კი, შეიცავენ ამავე კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ელემენტებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ დ. მ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ თსუ რექტორის 2018 წლის 25 აპრილის №93/01-01 ბრძანებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო პერსონალის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი) სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსისთვის თსუ რექტორის 2018 წლის 15 მაისის №114/01-01 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის 2018 წლის 14 ივნისის სხდომის №1 შემავამებელი ოქმისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში ... საშტატო ერთეულზე თანამშრომელთა დამტკიცების ნაწილში კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში ... ორ საშტატო ერთეულზე თანამშრომელთა დამტკიცებისა და დ. მ-ის ნაცვლად სხვა თანამშრომელთა კანდიდატურების დამტკიცების ნაწილში „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო პერსონალის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი) თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 22 ოქტომბრის №252/01-01 ბრძანების ბათილად ცნობა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში ... თანამდებობაზე აღდგენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის დღიდან (2018 წლის 22 ოქტომბერი) გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე თვეში 600 ლარის ანაზღაურების დავალება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად დამატებით „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო პერსონალის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი) სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 25 აპრილის №93/01-01 ბრძანების ბა-

თილად ცნობა მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არაარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუმერაცია). სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ

საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს, სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადანაცვების-თვის მნიშვნელობა ენიჭება სადავო აქტების გამოცემის საფუძველებს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახეზე იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად (იხ. სუს დიდი პალატი 10.07.2007წ. №ბს-132-123(კ-07) განჩინება).

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობს მის მიმართ წარმოებული ყველა დავის ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების განმხილველი სასამართლოსადმი განსჯადობას. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული პირის სტატუსი, მიიჩნევა თუ არა იგი საჯარო მოხელედ.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახური განიმარტება, როგორც სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობისა), მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დანესებულებებში) საქმიანობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა).

საკაცაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებას, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის ორგანიზაციული მონაცობის საჯაროსამართლებრივი ფორმა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საჯარო მმართველობა. აღნიშნულ დანესებულებებში საქმიანობა ითვლება საჯარო სამ-

სახურად, გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა. სასამართლოს მითითებით, გამონაკლისში მოქცეული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობა არ ითვლება საჯარო სამსახურად, რაც გამართლებულია ამ სუბიექტების ფუნქციონირების უპირატესი ინტერესებით (მაგ. უნივერსიტეტების ავტონომიურობა და იქ დასაქმებულთა აკადემიური თავისუფლება), რაც არ შეიძლება შეიზღუდოს საჯარო სამსახურის სტატუსით. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული პირი არ მიიჩნევა საჯარო მოხელედ.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ 2010 წლის 21 მაისის სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორსა და დ. მ-ეს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დასაქმებულმა აიღო ვალდებულება განეხორციელებინა შრომითი საქმიანობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში ... თანამდებობაზე, რაც ადასტურებს დ. მ-ესა და დამსაქმებელს შორის კერძო-სამართლებრივი შრომითი ურთიერთობის არსებობას.

ის გარემოება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახორციელებს საჯარო საქმიანობას, არ ცვლის განსჯადობის წესს, ვინაიდან მოცემული დავა უკავშირდება არა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას, არამედ მისი მუშაკის შრომით ურთიერთობას. საჯარო ფუნქციების დელეგირება შესაძლებელია არა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არამედ აგრეთვე ფიზიკურ პირზე და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც, რაც ცხადია არ აქცევს მისი მუშაკის გათავისუფლებასთან დაკავშირებულ დავას ადმინისტრაციული კატეგორიის საქმედ. ამდენად, განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს არა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქციებს, არამედ დავის საგნის შემხებლობას სამოხელეო სამართალურ-თიერთობასთან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სსიპ-ის მიერ თანამშრომელთა მიღებისას კონკურსის ჩატარების ფორმალური წესების დაცვის საჭიროე-

ბის დადგენით, განსახილველ შემთხვევაში არ იცვლება კონკურსის შედეგად დასაქმებული პირის შრომით-სამართლებრივი სტატუსი, რადგან კონკრეტული პროცედურების განხორციელებისას საჯარო კანონმდებლობის ნორმების გამოყენება იმთავითვე არ აქცევს ურთიერთობას საჯარო-სამართლებრივად, ისევე როგორც – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმიანობისას სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება იმთავითვე არ გამორიცხავს ქმედების საჯარო-სამართლებრივ ხასიათს. ასეთ შემთხვევაში განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეფასდეს დავის არსი, ქმედებათა შინაარსი, ურთიერთობის მახასიათებლები და სხვა. სწორედ აღნიშნული გარემოებების, არსებული ნორმატიული მონესრიგების, საკანონმდებლო რეგულაციის მიზნის ერთობლივი შეფასების შედეგად არის შესაძლებელი ურთიერთობის საჯარო თუ კერძო სამართლისათვის მიკუთვნება. მხოლოდ ის გარემოება, რომ კონკურსის ჩატარების ფორმალური წესები საჯარო-სამართლებრივ აქტებშია ასახული, არ ცვლის მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსობრივ დატვირთვას. ანალოგიური წარმატებით კონკურსის ფორმალური წესების დაცვით თანამშრომელთა სამსახურში მიღება შეიძლება მოახდინოს კერძო სამართლის იურიდიულმა პირმაც (აღნიშნულს კანონი არ კრძალავს), რაც რა თქმა უნდა არ აქცევს მასთან დასაქმებულ პირებს საჯარო მოხელეებად და დავას – ადმინისტრაციულ-სამართლებრივად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, აღნიშნულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას და მიიჩნევს, რომ დავა განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. მ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. ტერიტორიული განსჯადობა**

#### **3.1. ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ღირსის განსჯადობის სპეციალური ნაწი**

##### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-1235(გ-18)

6 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 13 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის – გ. გ-ის მიმართ და მოითხოვა გ. გ-ისათვის ზედმეტად ჩარიცხული სახელფასო თანხის – 222,93 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 14 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე გ. გ-ის მიმართ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, 26-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე მითითებით, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში ზედმეტად დარიცხული თანხის – 222,93 ლარის დაკისრების ნაწილში სადავო ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე, კერძოდ, დავის საგანია ფიზიკური პირისათვის – გ. გ-ისათვის ხელფასის სახით ზედმეტად დარიცხული თანხის დაბრუნება, აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს კი წარმოადგენს უსაფუძვლოდ გამდიდრების ნორმები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო სა-



მართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი, ს. ..., ... მე-2 ჩიხი №3, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხე – გ. გ-ის მიმართ წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად საქმეს და სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს სწორედ ამ სასამართლოს მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გამოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ დავა არ არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადი, რადგან დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან

– №1195/14 კონტრაქტიდან, რომლის 8.4.1. პუნქტით, სასამართლო-ში მიმართვის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ კონტრაქტიდან გამომდინარე, სამხედრო მოსამსახურის წინააღმდეგ აღძრული დავების განსაკუთრებული განსჯადობა სამინისტროს არჩევანის მიხედვით, გააჩნია იმ სასამართლოს, რომელიც იმყოფება სამხედრო მოსამსახურის ბოლო სამსახურის ადგილის (სამხედრო ნაწილის ადგილსამყოფელის) მიხედვით. მოპასუხის ბოლო სამსახურის ადგილი კი იყო სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის მე-4 მექანიზებული ბრიგადა, რომლის ადგილსამყოფელია დაბა ვაზიანი, გარდაბანი, რომელსაც მოიცავს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო, საერთო განსჯადობის გამოყენება – მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, დაუშვებელია და გამოყენებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული განსჯადობა.

ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოცემულ საქმეზე დავის საგანია თანხის დაკისრება, რომელიც გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან – 16/06/2014წ. №1195/14 კონტრაქტიდან „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08/02/2010წ. განჩინება საქმეზე №ბს-1479-1411(გ-09); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11/10/2017წ. განჩინება საქმეზე №ას-665-621-2017) აღნიშნა, რომ დავის კატეგორიის განსაზღვრისათვის არსებითია სწორედ ნორმატიული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ამა თუ იმ სამართლის კანონმდებლობიდან. გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება. კონკრეტულად კი დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის განსაზღვრისათვის კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. კონკრეტული სამართლებრივი ურთი-

ერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, ეს იქნება სამოქალაქო სამართლის იურიდიქციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა რეგულირებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით – კანონებით: „საჯარო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“; დავის საგანს წარმოადგენს 5 სამხედრო მოსამსახურესთან „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 17/03/2016წ. №124 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების“ 44-ე მუხლის დარღვევის საფუძველზე, ვადამდე შეწყვეტილი კონტრაქტიდან გამომდინარე ფინანსური პასუხისმგებლობა – ზედმეტად გადახდილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება, რა დროსაც მოსარჩელე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, მოქმედებს საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში და საკითხი იმის შესახებ, რომ მოსარჩელე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე, არ ცვლის დავის სამართლებრივ ბუნებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული წესით საქმის განსახილველად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება როგორც საგნობრივ, ასევე ტერიტორიული განსჯადობის საკითხს, შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასი-

ათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დავის ბუნებას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ასევე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკაცაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სარჩელი აღძრულია მოპასუხის – გ. გ-ის მიმართ, რომლითაც მოსარჩელე ითხოვს ზედმეტად გაცემული 6 დღის ხელფასის დაკისრებას. მოსარჩელე მიუთითებს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსის 16.06.2014 წლის №2063 ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში განვეული და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში ჩარიცხული გ. გ-ი 16.03.2018 წლის №1411 ბრძანებით დათხოვნილ იქნა სამხედრო

სამსახურიდან რეზერვში, ხოლო საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის მე-4 მექანიზებული ბრიგადის მეთაურის 26.01.2018 წლის №99 ბრძანებით მას შეუჩერდა სამსახურებრივი ურთიერთობა 2018 წლის 26 იანვრიდან, თუმცა მან მიიღო სრული თვის შრომის ანაზღაურება, 25 დღის ანაზღაურების ნაცვლად. თანხის დაკისრების მოთხოვნა გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან – 16/06/2014წ. №1195/14 კონტრაქტიდან „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“. სადავო ურთიერთობა რეგულირებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით – კანონებით: „საჯარო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“; დავის საგანს წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურესთან „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 17/03/2016წ. №124 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების“ 44-ე მუხლის დარღვევის საფუძველზე, ვადამდე შეწყვეტილი კონტრაქტიდან გამომდინარე ფინანსური პასუხისმგებლობა – ზედმეტად გადახდილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება, რა დროსაც მოსარჩელე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, მოქმედებს საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში და ამდენად, განსახილველი დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

რაც შეეხება ტერიტორიულ განსჯადობას, რამდენადაც დავა გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“, სახეზეა განსაკუთრებული განსჯადობა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დავა განხილული უნდა იქნეს იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ამასთან, კონტრაქტის 8.4.1. პუნქტით, სახეზეა მხარეთა შეთანხმება, რომ ამ კონტრაქტიდან გამომდინარე სამხედრო მოსამსახურის წინააღმდეგ აღძრული დავების განსაკუთრებული განსჯადობა სამინისტროს არჩევანის მიხედვით, გააჩნია მათ შორის იმ სასამართლოს, რომელიც იმყოფება სამხედრო მოსამსახურის ბოლო სამსახურის ადგილის (სამ-

ხედრო ნაწილის ადგილსამყოფელის) მიხედვით. დადგენილია, რომ მოპასუხის ბოლო სამსახურის ადგილი იყო სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის მე-4 მექანიზებული ბრიგადა, რომელის ადგილსამყოფელია დაბა ვაზიანი, გარდაბანი, რომელსაც მოიცავს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-19<sup>1</sup> მუხლებით დადგენილია განსჯადობის სპეციალური წესები, რომელიც ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობასთან მიმართებით ექსკლუზიური (გამომრიცხველი) ხასიათისაა. განსჯადობის სპეციალური წესების ამგვარი ხასიათი გულისხმობს იმას, რომ განსჯადობის საერთო და სპეციალურ წესებს შორის კონკურენციის შემთხვევაში, ცალსახა უპირატესობა სწორედ სპეციალური წესების დამდგენ ნორმებს უნდა მიენიჭოს და ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო, განსჯადობის საერთო წესების გამორიცხვით, სწორედ აღნიშნული ნორმების საფუძველზე უნდა განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი განსაზღვრავს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რამდენადაც დავა გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან „სა-

კონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“, სახეზეა განსაკუთრებული განსჯადობა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დავა განხილული უნდა იქნეს იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ამასთან, კონტრაქტის 8.4.1. პუნქტით, სახეზეა მხარეთა შეთანხმება, რომ ამ კონტრაქტიდან გამომდინარე სამხედრო მოსამსახურის წინააღმდეგ აღძრული დავების განსაკუთრებული განსჯადობა სამინისტროს არჩევანის მიხედვით, გააჩნია მათ შორის იმ სასამართლოს, რომელიც იმყოფება სამხედრო მოსამსახურის ბოლო სამსახურის ადგილის (სამხედრო ნაწილის ადგილსამყოფელის) მიხედვით. მოპასუხის ბოლო სამსახურის ადგილი კი, როგორც უკვე აღინიშნა, იყო სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის მე-4 მექანიზებული ბრიგადა, რომელის ადგილსამყოფელია დაბა ვაზიანი, გარდაბანი, რომელსაც მოიცავს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია, ამდენად, განსახილველი დავის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული საერთო განსჯადობის წესები, რაც გულისხმობს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადი სასამართლოს განსაზღვრას და გამოყენებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული განსჯადობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს, ადმინისტრაციული წესით განსახილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი – გ. გ-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე  
დავის განსჯადობის სპეციალური წესი**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-975(გ-18)

22 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 20 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – ლ. ხ-ის მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ 3 000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 ივლისის განჩინებით საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო, მოპასუხე – ლ. ხ-ის მიმართ, გადაეგზავნა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობას და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს ლ. ხ-ი, რომლის მისამართია: ხონი, სოფ. ... .

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია სამტრედიის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-

სის 26.1 მუხლზე, რომლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნოდა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 1 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე ლ. ხ-ის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განისაზღვრა რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული მუხლის განსაზღვრავს საერთო განსჯადობას და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხედ დასახელებულია ლ. ხ-ი, რომლის მისამართია – ხონის რაიონი, სოფელი ... .

სამტრედიის რაიონული სასამართლოს მითითებით, წინამდებარე სარჩელის ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან სამტრედიის რაიონულ სასამართლოში გადაგზავნას საფუძველად დაედო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხე მხარის მისამართს წარმოადგენს ხონის რაიონი, სოფელი ... .

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ძირითადი ნიშნების მიხედვით, განასხვავებს გვარეობით და ტერიტორიულ განსჯადობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით (განსაკუთრებული განსჯადობა) დადგენილია განსაზღვრული კატეგორიის საქმეთა განხილვა მხოლოდ ერთ რომელიმე, კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ სასამართლოში. განსაკუთრებული განსჯადობა სწორედაც იმიტომ ეწოდება განსჯადობის ამ სახეს, რომ ამ განსჯადობით დადგენილი წესები გამორიცხავენ ტერიტორიული განსჯადობის სხვა სახეების გამოყენების შესაძლებლობას. განსაკუთრებული განსჯადობის საქმეებზე სასამართლო არ არის დამოკიდებული მოსარჩელის და არა მხარეთა ნებაზე, ვინაიდან განსჯადი სასამართლო ზუსტად არის განსაზღვრული კანონით და ამ საქმეებიდან გამომდინარე სარჩელის აღძვრა, კანონით დადგენილი სასამართლოების გარდა, სხვა სასამართლოში დაუშვებელია. განსჯადობის ორი სახის შეცვლა არ შეიძლება მხარეთა შეთანხმებით. ესაა განსაკუთრებული (სსკ-ის მე-13-მე-14 მუხლები) და გვარეობითი განსჯადობა (სსკ-ის მე-16 მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (საერთო განსჯადობა). ხოლო 16.2 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო (განსაკუთრებული განსჯადობა).

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც წარმოშობილია 2016 წლის 20 სექტემბრის ბრძანებით, რომლის საფუძველზეც, რიგითი ლ. ვ. ხ-ი განვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში, „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ, სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ კონტრაქტით გათვალისწინებული შტაბის წრთვნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის უფროს სერჟანტ ... ცენტრის სანყისი საბრძოლო მომზადების კურსების რეკრუტად, მიენიჭა პირველადი სამხედრო წოდება „რიგითი“ და ჩაი-

რიცხვა საწყის საბრძოლო მომზადების კურსზე 2016 წლის 19 სექტემბრიდან.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მართალია, მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ კონკრეტული საქმის ტერიტორიული განსჯადობა, მაგრამ, ამასთან, მათ არ აქვთ უფლება, ურთიერთშეთანხმებით შეცვალონ სსსკ-ის მე-16 მუხლით დადგენილი განსაკუთრებული ტერიტორიული და გვარეობითი განსჯადობის წესები. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მხარეებს უფლება აქვთ შეცვალონ ტერიტორიული განსჯადობის მხოლოდ ორი ქვესახე – საერთო და ალტერნატიული განსჯადობა, მაგრამ მათ არ აქვთ განსაკუთრებული და გვარეობითი განსჯადობის შეცვლის უფლება ურთიერთშეთანხმებით, ვინაიდან განსჯადობის ეს სახეები კანონით პირდაპირ და უპირობოდაა განსაზღვრული და დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 25.11.2016 წლის №7390 ბრძანებით, რიგითი ლ. ხ-ი დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეით ბრიგადაში საინჟინრო ასეულის საგზაო ათეულის ... 2016 წლის 25 ნოემბრიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ხ-ი მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეით ბრიგადაში სხვადასხვა პოზიციაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისი, ... №..., შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქ. ქუთაისი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის საქალაქო სასამართლო. ამგვარი მოცემულობის ფარგლებში კი, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საერთო განსჯადობის გამოყენება – მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, დაუშვებელია და გამოყენებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული განსჯადობა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლზე, რომლის მიხედვითაც, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. 26.3 მუხლის მიხედვით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებუ-

ლი განჩინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებამოსილი სასამართლოა წამოიწყოს დავა მოცემულ საქმეზე განსჯადობის შესახებ და საქმე გადაუგზავნოს დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სარჩელი აღძრულია მოპასუხის – ლ. ხ-ის მიმართ, რომლითაც მოსარჩელე „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ, სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ 2016 წლის 19 სექტემბრის №4314/16 კონტრაქტის საფუძველზე მოპასუხისათვის კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო ჯარიმის – 3000 (სამი ათასი) ლარის დაკისრებას ითხოვს. კერძოდ, ზემოაღნიშნული კონტრაქტის მე-7 მუხლში განსაზღვრულია მხარეთა პასუხისმგებლობის პირობები, რომლის 7.3. პუნქტის თანახმად, თუ „სამხედრო მოსამსახურე“ ამ კონტრაქტის მოქმედების მეორე ეტაპის განმავლობაში, ხოლო მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებული „სამხედრო მოსამსახურე“ მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში ვადამდე იქნება დათხოვნილი საკონტრაქტო სამხედრო სამ-

სახურიდან სამხედრო სამსახურის პირველი ორი წლის გასვლის პერიოდში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ საფუძველით, რომელიც კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ითვალისწინებს ფინანსური პასუხისმგებლობის წარმოშობას, „სამხედრო მოსამსახურე“ უპირობოდ ხდება ვალდებული, კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში აუნაზღაუროს სამინისტროს ჯარიმის სახით 3 000 (სამი ათასი) ლარი.

დადგენილია, რომ მოპასუხე ლ. ხ-ის საცხოვრებელი ადგილი ხონის რაიონი, სოფელი ... .

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-191 მუხლებით დადგენილია განსჯადობის სპეციალური წესები, რომელიც ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობასთან მიმართებით ექსკლუზიური (გამომრიცხველი) ხასიათისაა. განსჯადობის სპეციალური წესების ამგვარი ხასიათი გულისხმობს იმას, რომ განსჯადობის საერთო და სპეციალურ წესებს შორის კონკურენციის შემთხვევაში, ცალსახა უპირატესობა სწორედ სპეციალური წესების დამდგენ ნორმებს უნდა მიენიჭოს და ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო, განსჯადობის საერთო წესების გამორიცხვით, სწორედ აღნიშნული ნორმების საფუძველზე უნდა განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. ხ-ს შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავა ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების დარღვევის, მისი ვადამდე შეწყვეტის საფუძველზე იქნა წარმოშობილი, რის გამოც, მოცემული სადავო სა-

მართალურთიერთობა, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას უკავშირდება და მისგან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი განსაზღვრავს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ, სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ 2016 წლის 19 სექტემბრის კონტრაქტის შესრულება მოპასუხის მიერ სამხედრო საქმიანობის განხორციელებას უკავშირდებოდა. დადგენილია, რომ ლ. ხ. ი მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეით ბრიგადაში სხვადასხვა პოზიციაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისი, ... №..., შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქ. ქუთაისი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო განსჯადობის გამოყენება – მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით დაუშვებელია და გამოყენებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული განსჯადობა, რის გამოც, სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე  
დავის განსჯადობის სპეციალური ნაწი**

**ბანჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-429(გ-19)

16 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 24 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – ლ. კ-ის მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ 3 000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხის – ლ. კ-ის მიმართ, განსჯადობის წესის დაცვით გადაეგზავნა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით მონესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თა-

ნახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს ლ. კ-ე, რომლის მისამართია: ხონი, სოფელი ... .

სასამართლოს მითითებით, სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია სამტრედიის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარედგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნოდა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 18 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხე ლ. კ-ის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 3.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ამავე კანონის 31-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს, ასევე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,

თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობას და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოპასუხედ დასახელებულია ლ. კ-ე, რომლის მისამართია ხონის რაიონი, სოფელი ... .

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ძირითადი ნიშნების მიხედვით, განასხვავებს გვარეობით და ტერიტორიულ განსჯადობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით (განსაკუთრებული განსჯადობა) დადგენილია განსაკუთრებული კატეგორიის საქმეთა განხილვა მხოლოდ ერთ რომელიმე, კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ სასამართლოში. განსაკუთრებული განსჯადობა სწორედაც იმიტომ ეწოდება განსჯადობის ამ სახეს, რომ ამ განსჯადობით დადგენილი წესები გამორიცხავენ ტერიტორიული განსჯადობის სხვა სახეების გამოყენების შესაძლებლობას. განსაკუთრებული განსჯადობის საქმეებზე სასამართლოს არჩევა არ არის დამოკიდებული მოსარჩელის და არც მხარეთა ნებაზე, ვინაიდან განსჯადი სასამართლო ზუსტად არის განსაზღვრული კანონით და ამ საქმეებიდან გამომდინარე სარჩელის აღძვრა, კანონით დადგენილი სასამართლოების გარდა, სხვა სასამართლოში დაუშვებელია. ესაა განსაკუთრებული (სსკ-ის მე-13-მე-14 მუხლები) და გვარეობითი განსჯადობა (სსკ-ის მე-16 მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (საერთო განსჯადობა). მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო (განსაკუთრებული განსჯადობა).

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მხარეებს შორის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც წარმოშობილია 2017 წლის

19 ივნისის ბრძანებით, რომლის საფუძველზეც რიგითი ლ. კ-ე განვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში, „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წრთვნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის უფროს სერჟანტ ზ. ფ-ის სახელობის სანყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის სანყისი საბრძოლო მომზადების კურსების რეკრუტად (საშტატი კატეგორია 1-ლი კლასის რიგითი) და ჩაირიცხა სანყისი საბრძოლო მომზადების კურსზე 2017 წლის 19 ივნისიდან.

სასამართლოს მითითებით, მართალია, მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ კონკრეტული საქმის ტერიტორიული განსჯადობა, მაგრამ ამასთან, მათ არ აქვთ უფლება, ურთიერთშეთანხმებით შეცვალონ სსსკ-ის მე-16 მუხლით დადგენილი განსაკუთრებული ტერიტორიული და გვარეობითი განსჯადობის წესები. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მხარეებს უფლება აქვთ შეცვალონ ტერიტორიული განსჯადობის მხოლოდ ორი ქვესახე – საერთო და ალტერნატიული განსჯადობა, მაგრამ მათ არ აქვთ განსაკუთრებული და გვარეობითი განსჯადობის შეცვლის უფლება ურთიერთშეთანხმებით, ვინაიდან განსჯადობის ეს სახეები კანონით პირდაპირ და უპირობოდაა განსაზღვრული და დადგენილი.

მოსარჩელის მიერ წარდგენილი მასალებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 19 ივნისის ბრძანებით რიგითი ლ. კ-ე სამსახურებრივ ვალდებულებას ასრულებდა ქ. ქუთაისში, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეით ბრიგადაში.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. კ-ე მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეით ბრიგადაში, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. შესახვე. №1, შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქ. ქუთაისი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოცემული სარჩელის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის საქალაქო სასამართლო. ამგვარი მოცემულობის ფარგლებში საერთო განსჯადობის გამოყენება – მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, დაუშვებელია და გამოყენებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული განსჯადობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის მიხედვით, მართალია, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს, მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, რომ სამტრედიის რაიონულ სასამართლოში განსჯადობის წესების დარღვევით იქნა გადაგზავნილი საქმე, რადგან სამტრედიის რაიონული სასამართლო არ არის განსჯადი სასამართლო, შესაბამისად, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა გადაწყვეტილ უნდა იქნეს საკასაციო სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სარჩელი აღძრულია მოპასუხის – ლ. კ-ის მიმართ, რომლითაც მოსარჩელე „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ, სამხედრო მოსამსახურის გავლის შესახებ“ 2017 წლის 19 ივნისის კონტრაქტის საფუძველზე მოპასუხისათვის კონტრაქტის პირობების დარღვევის – კონტრაქტის ვადამდე პირადი განცხადებით (პატაკით) შეწყვეტისათვის გათვალისწინებული ჯარიმის – 3000 (სამი ათასი) ლარის დაკისრებას ითხოვს. კერძოდ, ზემოაღნიშნული კონტრაქტის მე-7 მუხლში განსაზღვრულია მხარეთა პასუხისმგებლობის პირობები, რომლის 7.3. პუნქტის თანახმად, თუ სამხედრო მოსამსახურე ამ კონტრაქტის მოქმედების მეორე ეტაპის განმავლობაში, ხოლო მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებული სამხედრო მოსამსახურე მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში

ვადამდე იქნება დათხოვნილი საკონტრაქტო სამხედრო სამსახურიდან სამხედრო სამსახურის პირველი ორი წლის გასვლის პერიოდში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ საფუძვლით, რომელიც კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ითვალისწინებს ფინანსური პასუხისმგებლობის წარმოშობას, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული, კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში აუნაზღაუროს სამინისტროს ჯარიმის სახით 3 000 (სამი ათასი) ლარი.

დადგენილია, რომ მოპასუხე ლ. კ-ის საცხოვრებელ ადგილს ხონის რაიონი, სოფელი ... წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-მე-19<sup>1</sup> მუხლებით დადგენილია განსჯადობის სპეციალური წესები, რომელიც ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობასთან მიმართებით ექსკლუზიური (გამომრიცხველი) ხასიათისაა. განსჯადობის სპეციალური წესების ამგვარი ხასიათი გულისხმობს იმას, რომ განსჯადობის საერთო და სპეციალურ წესებს შორის კონკურენციის შემთხვევაში, ცალსახა უპირატესობა სწორედ სპეციალური წესების დამდგენ ნორმებს უნდა მიენიჭოს და ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო, განსჯადობის საერთო წესების გამორიცხვით, სწორედ აღნიშნული ნორმების საფუძველზე უნდა განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. კ-ეს შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავა ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების დარღვევის, მისი ვადამდე შეწყვეტის საფუძველზე იქნა წარმოშობილი, რის გამოც, მოცემული სადავო სა-

მართალურთიერთობა, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას უკავშირდება და მისგან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი განსაზღვრავს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ, სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ 2017 წლის 19 ივნისის კონტრაქტის შესრულება მოპასუხის მიერ სამხედრო საქმიანობის განხორციელებას უკავშირდებოდა. ამასთან, მოპასუხე ლ. კ-ე სამსახურებრივ ვალდებულებას ასრულებდა ქ. ქუთაისში, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეით ბრიგადაში, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე, შესახვ. №1-ში.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



### **3.2. განსჯადობა უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით**

#### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-1016(გ-18)

22 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 18 ივნისს ნ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ ქ. გორში, ... (...) ქ. №3/11-ში მდებარე ბინით სარგებლობის უფლების აღიარება მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 19 ივნისის განჩინებით ნ. მ-ის სარჩელი მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ბინით სარგებლობის უფლების აღიარების შესახებ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სასამართლოს განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით არ არის განსაზღვრული არასათანადო მოპასუხის შეცვლისა და სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაზე, რომლის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ითხოვს ქ. გორში, ... ქ. №3/11-ში, 1992 წლიდან მის მფლობელობაში არსებული, თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ერთ-ოთახიანი ბინით სარგებლობის უფლების აღიარებას. მოსარჩელე ასევე უთითებს, რომ ზემოაღნიშნული ბინის საკუთრებაში გადაცემის მიზნით მან არაერთხელ მიმართა თავდაცვის სამინისტროს, თუმცა უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ორდერი №19 გაცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ და ბინაზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილება.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე წარმოდგენილ სარჩელში ასაჩივრებს მოპასუხე მხარედ მითითებული ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აქტს, რომლის იურიდიული მისამართი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მიხედვით, არის ქ. თბილისი, ... ქ. №20.

აღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილიყო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული ადგილსამყოფლის მიხედვით, რისი გათვალისწინებითაც, სარჩელი განსჯადობით ექვემდებარებოდა არა გორის რაიონულ სასამართლოს, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 9 ივლისის განჩინებით ნ. მ-ის სარჩელი მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

სასამართლომ ასევე მიუთითა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სა-

მართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე თავის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად კი, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი კი ადგენს, რომ სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ წარმოადგენს ქ. გორში, ... ქ. №3/11-ში მდებარე ბინაზე სარგებლობის უფლების აღიარება, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლებიდან გამომდინარე, მის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს როგორც თბილისის საქალაქო სასამართლო (მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით), ასევე გორის რაიონული სასამართლო (იმ უძრავი ნივთის მდებარეობიდან გამომდინარე, რომელზე სარგებლობის უფლების აღიარებასაც ითხოვს მოსარჩელე), თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ამავე კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელე მხარეს აძლევს, ნ. მ-ის მიერ გაკეთებული არჩევანის გათვალისწინებით, საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა გორის რაიონული სასამართლო და თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განსჯადობით გადაგზავნა არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკაცო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქა-

ლაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. მ-ის სარჩელი მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას უნდა გადმოგზავნოდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გორის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ნ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქცია-საც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.), კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირება არსებით მნიშვნელობას იძენს დავის განხილვაზე განსჯადი სასამართლოს განსაზღვრისათვის, რამდენადაც განსჯადი სასამართლოს დადგენა სწორედ სარჩელის ზუსტ, მოსარჩელის მიზნის შესაბამის განსაზღვრულობას უკავშირდება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ასეთ დროს არსებითია, მხედველობაში იქნეს მიღებული მოსარჩელის ინტერესი, მის მიერ დავის ფარგლებში მისაღწევი მიზანი და შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა სწორედ ზემოხსენებულ პირობათა გარკვევა-დაზუსტების შემდგომ განხორციელდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემ-

თხვევაში, მოსარჩელის საბოლოო მიზანს მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ სასამართლო წესით სარგებლობის უფლების აღიარებას მოთხოვნილ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხსენებული დანაწესის მიხედვით, მართალია, მოსარჩელე თავად ირჩევს სარჩელის სახეს, რომელიც მას საკუთარი მიზნის მიღწევისათვის ესაჭიროება, აგრეთვე თავადვე განსაზღვრავს დავის საგანს, სარჩელის შინაარსსა და მოცულობას და სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა აღნიშნული არ გამოიციხავს სასამართლოს შესაძლებლობასა და, მეტიც, ვალდებულებას, დაადგინოს სარჩელის აღძვრის მიზანი და ხსენებული მიზნის მხედველობაში მიღებით დაეხმაროს მოსარჩელეს მოთხოვნის ფორმულირებაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სასარჩელო მოთხოვნის შინაარსზე, კერძოდ, მოსარჩელე – ნ. მ-ი ითხოვს ქ. გორში, ... (...) ქ. №3/11-ში მდებარე ბინით სარგებლობის უფლების აღიარებას. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებს, რომ აღიარებითი სარჩელის მიმართ მისი კანონიერი ინტერესი ზემოხსენებული ქონების სახელმწიფოს მიერ მის საკუთრებაში გადაცემას უკავშირდება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის საბოლოო მიზანს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების, რომელსაც იგი მისივე მიუთითებით 1992 წლიდან ფლობს, პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირება არ წარმოშობს განსახილველ შემთხვევის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავად მიჩნევის საფუძველს, რამდენადაც უძრავი ქონების მოსარჩელეზე პრივატიზაციის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის გარეშე, ამ ქონებაზე მხოლოდ სარგებლობის უფლების აღიარების მოთხოვნასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნა შინაარსით ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა კატეგორიას არ განეკუთვნება. ამდენად, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტამდე, სასამართლო მოსარჩე-

ლეს მისივე ინტერესისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის უძრავი ქონების მოსარჩელეზე პრივატიზაციის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის აუცილებლობის განსაზღვრით, სარჩელის ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიის შესაბამის ფორმულირებაში უნდა დახმარებოდა. თავის მხრივ, უძრავი ქონების პრივატიზების მოთხოვნის დასაბუთებულობის, მისი საფუძვლიანობის განსაზღვრის ფარგლებში შესაძლებელია გაირკვეს სარგებლობის უფლების არსებობა-არარსებობის საკითხიც, რომელიც საბოლოოდ სარჩელის საფუძვლიანობის ბედს გადაწყვეტს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მხოლოდ ზემოაღნიშნული სამართლებრივი წინაპირობების, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნისა და მისაღწევი მიზნების დაზუსტების შემდგომ უნდა ემსჯელა სასამართლოს განსჯადობის საკითხზე, რისი გათვალისწინებითაც, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს მხრიდან მოსარჩელისათვის სარჩელის ტრანსფორმირებაში დახმარების მიზნით, მოცემულ საქმე გორის რაიონულ სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

**საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ამგვარი კატეგორიის დავებზე განსჯადობის თვალსაზრისით დადგენილია ერთიანი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც აღნიშნულ მომენტამდე სადავოდ არ გამხდარა. კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავები განიხილება უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.**

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების შესაბამისად, განისაზღვრა რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გორის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება გორის და კასპის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით, აგრეთვე „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის დადგენილებით შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (გარდა ახალგორისა და თიღვის მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. მ-ის სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირებაში დახმარების შემდგომ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად გორის რაიონულ სასამართლოს უნდა დაექვემდებაროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 281 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ნ. მ-ის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **განსჯადობა უპირავი ნივთის აღვიღებულობის მიხედვით**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-428(გ-19)

16 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 2 მაისს ვ. უ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-



ლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 16 თებერვლის №... გადაწყვეტილების, 2017 წლის 17 თებერვლის №... გადაწყვეტილების, 2017 წლის 28 მარტის №... გადაწყვეტილებისა და 2017 წლის 28 მარტის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის №... და №... განცხადებებზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე ქ. გურჯაანში, .... №2, ს/ფ 2900.05 კვ.მ და ქ. გურჯაანში, „...“, ს/ფ 2039 კვ.მ მდებარე უძრავი ქონებების ვ. უ-ის ინდივიდუალურ საკუთრებად აღრიცხვის განხორციელების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის განჩინებით ვ. უ-ის სარჩელი მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თელავის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარედგინილი უნდა იქნეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერიტორიულ განსჯადობაზე დავის შემთხვევაში, როგორც წესი, სახეზეა რამდენიმე მოპასუხე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, ტერიტორიული განსჯადობის გადაწყვეტა ხდება ერთ-ერთი მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ამასთან, განსჯადობის ხსენებული წესი არ ხდის საქმის განსჯადობას დამოკიდებულს მხოლოდ მოსარჩელის ნება-სურვილზე; ალტერნატიულობის მიუხედავად, კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაზე.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვ. უ-ის მიერ წარმოდგენილი სასარჩელო განცხადებითა და საქმეში არსებული მასალებით ირკვევოდა, რომ ვ. უ-ის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

ტომში, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში წარდგენილ იქნა განცხადება ქ. გურჯაანში, ...ქ. №2 და ქ. გურჯაანში, „...“ მდებარე უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ დავის საგანი მოიცავდა როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“ 2017 წლის 16 თებერვლის №... გადაწყვეტილებისა და 2017 წლის 17 თებერვლის №... გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის შესწავლას.

ზემოაღნიშნულისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის №ბს-721-704(გ-14) განჩინებით დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, განსჯადობა განსაზღვრული უნდა ყოფილიყო თავდაპირველი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისის ადგილმდებარეობის (მისამართი: ქ. თელავი, ერეკლე მე-2-ის ქუჩა №3) მიხედვით – თელავის რაიონული სასამართლოს მიერ.

სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თელავის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის – თელავის, თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაცი-

ციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს განსჯად სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. უ-ის სარჩელი მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად თელავის რაიონულ სასამართლოს უნდა გადაგზავნოდა. სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევაში, დაცული იქნებოდა მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, საქმის სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი.

თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის განჩინებით, ვ. უ-ის სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი, მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში და დანიშნულ იქნა მოსამზადებელი სხდომა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 14 მარტის განჩინებით ვ. უ-ის სარჩელი მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, ტერიტორიული განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისა და განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმის განხილვის პერიოდში, მოსარჩელემ მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს წერილობითი განცხადებით და მიუთითა, რომ ქონება, რომელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასაც იგი ითხოვდა, ქ. გურჯაანში მდებარეობდა. შესაბამისად, მოსარჩელემ ადმინისტრაციული საქმის გურჯაანის რაიონული სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემა მოითხოვა.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2019 წლის 14 მარტს გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა და განმარტა, რომ განსახილველი ადმინისტრაციული საქმე არ იყო თელავის რაიონული სასამართლოს განსჯა-

დი, რამდენადაც სადავო ქონება მდებარეობდა ქ. გურჯაანში და შესაბამისად, სარჩელი სადავო უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით უნდა ყოფილიყო განხილული.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე თავით გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის წესები. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება (საჩივარი).

ამასთან, რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-მე-19<sup>1</sup> მუხლებით რეგლამენტირებულია განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. კერძოდ, დასახელებული კოდექსის მე-16 მუხლი არეგულირება და განსაკუთრებული განსჯადობის წესს.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლზე და აღნიშნა, რომ დასახელებული მუხლი არეგულირება ნივთობრივი განსჯადობის წესებს. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე,

მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო. ამავე კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად კი, სასამართლოს არჩევს უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების თანახმად, დავის საგანს წარმოადგენდა ქ. გურჯაანში, ... ქ. №2-ში მდებარე, ს/ფ 2900.05 კვ.მ ფართისა და ქ. გურჯაანში, „...“ მდებარე, ს/ფ 2039 კვ.მ ფართის უძრავ ქონებებთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება და ამ უძრავ ქონებებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის დავალება. მაშასადამე, მოსარჩელის საბოლოო მიზანიც აღნიშნულ უძრავ ქონებებზე საკუთრების უფლების მოპოვებასა და რეგისტრაციას უკავშირდებოდა და სარჩელის ყველა მოთხოვნაც ხსენებული მიზნიდან გამომდინარეობდა.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით, კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაიონული სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ თავდაპირველი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისი წარმოადგენდა და სწორედ აღნიშნულით განისაზღვრა, რომ მოცემული სარჩელი წარმოადგენდა თელავის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რაც დაკავშირებულია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებასთან, ამგვარი მიდგომა გამოიწვევს სარჩელების თავმოყრას, არაეკონომიურ გადანაწილებას მხოლოდ ერთ სასამართლოში – კახეთის რეგიონში

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული ოფისის ადგილმდებარეობის მიხედვით. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, ამგვარი სახის დავებზე, საკასაციო სასამართლომ მის მიერ მიღებული განჩინებებით განსაზღვრა განსჯადობა ამ კატეგორიის საქმეებზე უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, როდესაც დაადგინა ამ სახის სარჩელებზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესი. საკასაციო სასამართლომ თავის განჩინებებში განმარტა, რომ ნივთობრივი განსჯადობის წესით საქმის განხილვის წესი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისების მიმართ აღძრულ სარჩელებზე და სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ მოიხმო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებები: 2017 წლის 13 ივლისის №ბს-439-436(გ-17) განჩინება, 2017 წლის 19 ოქტომბრის №ბს-639-635(გ-17) განჩინება, 2017 წლის 16 მაისის №ბს-952-943(გ-16) განჩინება, 2017 წლის 7 დეკემბრის №ბს-984-980(გ-17) განჩინება, 2018 წლის 9 იანვრის №ბს-1068-162(გ-17) განჩინება, 2017 წლის 17 ოქტომბრის №ბს-219-217(გ-17) განჩინება, 2017 წლის 14 სექტემბრის №ბს-715-711(გ-17) განჩინება.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2017 წლის 11 მაისის განჩინებით თელავის რაიონული სასამართლოს მიერ სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის ითვალისწინებს დანაწესს, რომლის თანახმად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დანაწესი ვერ იქნებოდა გამოყენებული განსახილველ შემთხვევაში და განმარტა, რომ განსჯადობის შესახებ საკითხის წამოჭრა აგრეთვე მხარის უფლებასაც წარმოადგენს. ამდენად, სასამართლომ მიუთითა, რომ როდესაც საქმის განხილვისას დგინდება ანდა საეჭვოა საქმის განსჯადობის წესის დაცვით განხილვის საკითხი, ნებისმიერ შემთხვევაში, სასა-

მართლო ვალდებულია იმსჯელოს იმ საკითხზე, რა ეტაპზედაც არ უნდა იყოს საქმის განხილვა.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ არაგანსჯადმა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, შესაძლებელია განიხილოს საქმე, თუმცა ამასთან დაკავშირებით საჭიროა არსებობდეს ორივე მხარის მიერ გამოთქმული თანხმობა. თუკი მხარე საქმის განხილვის რომელიმე ეტაპზე მიიჩნევს, რომ საქმეს იხილავს არაგანსჯადი სასამართლო, სასამართლომ უნდა განიხილოს აღნიშნული მხარის მიერ დასმული საკითხი და მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით მიიღოს კანონმდებლობის შესაბამისი გადაწყვეტილება.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს იმგვარი სახის არსებით დარღვევას, რაც გადაწყვეტილების უპირობო გაუქმების საფუძველია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნულის თაობაზე თავად მხარეები მიუთითებენ. სასამართლოს მოსაზრებით, სასამართლო სხდომაზე განსჯადობის შესახებ მხარეთა მოსაზრებისა და მოთხოვნის ყურადღების მიღმა დატოვება გამოიწვევს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების იქნა არაგანსჯადი სასამართლოს მიერ, რითაც დაირღვევა პირისათვის საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარის შუამდგომლობა და მხარეთა ერთობლივი განმარტება განსჯადობის საკითხზე იყო საფუძვლიანი, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საქმის განხილვა უნდა მომხდარიყო განსჯადობის სპეციალური წესების – ნივთობრივი განსჯადობის საფუძველზე. შესაბამისად, თელავის რაიონული სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა მოცემული სარჩელი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული სარჩელი და ადმინისტრაციული საქმე ტერიტორიული განსჯადობის წესით განსახილველად ექვემდებარებოდა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თელავის რაიონული სასამართლო



მართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ვ. უ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად თელავის რაიონულ სასამართლოს უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.), კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თელავის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამ პრინციპიდან განდგომა გამონაკლისის წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან და საჯარო რეესტრის ორგანიზაციული მონყობიდან გამომდინარე, დაშვებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავა ეხება უძრავი ქონებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისის 2017 წლის 16 თებერვლის №... გადაწყვეტილება და 2017 წლის 17 თებერვლის №... გადაწყვეტილება, აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 28 მარტის №... გადაწყვეტილება და 2017 წლის 28 მარტის №... გადაწყვეტილება). ამასთან, დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას, არამედ უძრავი ქონებების მოსარჩელის სახელზე რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემის დავალებას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სადავო უძრავი ქონებები მდებარეობს ქ. გურჯაანში, ... ქ. №2-ში და ქ. გურჯაანში, „...“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს უშუალოდ ან თავისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურებისა და ავტორიზებული პირების მეშვეობით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით. ამავე დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები, რომელთა რიგებში შედის აგრეთვე კახეთის რეგიონული ოფისი, ახმეტის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს ფილიალები. **ხაზგასასმელია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გურჯაანის მუნიციპალიტეტში განცალკევებით არ გააჩნია კონკრეტული ტერიტორიული სამსახური – რეგიონული ოფისი ან ფილიალი.**

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით არსებითია ყურადღება იქნეს გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ მართალია, სადავო უძრავი ქონებები მდებარეობს ქ. გურჯაანში, თუმცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქ. გურჯაანში არ გააჩნია კონკრეტული ტერიტორიული სამსახური, რომლის მეშვეობითაც ადმინისტრაციული ორგანო ადგილობრივად შეძლებს უფლებამოსილებათა განხორციელებას. შესაბამისად, ამგვარი მოცემულობა წარმოშობს იმის განსაზღვრის საჭიროებას, თუ რომელ გარემოებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა განსახილველ დავაზე განსჯადი სასამართლოს დადგენისას – ქონების ადგილმდებარეობას თუ ტერიტორიული სამსახურის ადგილსამყოფელს.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მაისის №ბს-964-955(გ-16) განჩინებაზე, სადაც განიმარტა, რომ **„იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია ფილიალი, სარჩელის განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით (საერთო განსჯადობის) გათვალისწინებული სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით (იხ. სუს. 16.04.15წ. საქმე №ბს-721-**

707 (გ-14)).“

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების, არამედ სააგენტოს კახეთის რეგიონალური ოფისის გადაწყვეტილებას, მოსარჩელე მოითხოვს სააგენტოსა და კახეთის რეგიონალური ოფისის აქტების ბათილად ცნობას, უძრავი ქონების მოსარჩელის სახელზე რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემის დავალებას. თავის მხრივ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული ოფისი მდებარეობს ქ. თელავში, ერეკლე II-ის გამზ. №3-ში.

ამდენად, საკასაციო პალატის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ ქ. გურჯაანში არ მდებარეობს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, განსახილველი დავის გადაწყვეტაზე უფლებამოსილი სასამართლო გასაჩივრებული აქტის გამომცემი ორგანოს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 ივლისის №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები. აღნიშნული მუხლის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თელავის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ დავაზე განსჯად სასამართლოს თელავის რაიონული სასამართლო წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს თელავის რაიონ-

ნული სასამართლოს მითითებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლთან დაკავშირებით და მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის №ბს-813(გ-18) განჩინებაზე, რომლის თანახმად: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებათა გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით კონკრეტული საკითხის განუსაზღვრელობის შემთხვევაშია შესაძლებელი. განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილით იმპერატიულად არის დადგენილი საქმის განსჯად სასამართლოში წარდგენის აუცილებლობა, ხოლო რამდენადაც სადავო ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს დადგენა საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული განსჯადობის წესების გამოყენებით ხორციელდება, განსჯადი სასამართლო მხარეთა ნების შესაბამისად, მათი ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრას ვერ დაექვემდებარება“.

ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის კერძო-სამართლებრივი ბუნება და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილით სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის იმპერატიულობა გამორიცხავს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში აღნიშნული მუხლის გამოყენების გზით განსჯადობის თაობაზე მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ვ. უ-ის სარჩელი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თელავის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა ადმინისტრაციული ორგანოს  
ადგილმდებარეობის მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სასჯელით**

№ბს-732(გ-19)

4 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს „...ის“ წარმომადგენელმა 2019 წლის 8 მაისს სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 15 თებერვლის №კ/რ-102-41, №კ/რ-103-42, №კ/რ 104-43 და ამავე სააგენტოს 2019 წლის 12 აპრილის №02/20289 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 მაისის განჩინებით სს „...ის“ სარჩელი განსახილველად, განსჯადობის წესების დაცვით, გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებული საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კოდექსი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მი-

მართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც იურიდიული პირის მიმართ წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობას და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე №ბს-596-593 (გ-17) აღნიშნა, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას აქტების გამომცემი ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით საქმეზე (№ბს-721-707 (გ-14)) განმარტა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადანყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. განსახილველ შემთხვევაში, რუსთავის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144, შესაბამისად, საერთო განსჯადობის წესების დაცვით, საქმის განმხილველ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინებით, მოსარჩელე სს „...ის“ სარჩელი, მოპასუხე სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიმართ, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 15 თებერვლის №კ/რ-102-41, №კ/რ-102-42, №კ/რ-104-43 რევიზიის აქტებისა და ამავე საა-



გენტოს 2019 წლის 12 აპრილის №02/20289 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე – სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს-საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ წინამდებარე სარჩელი განხილული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, მოპასუხე სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მონაწილე სუბიექტებს შორის წარმოშობილი ურთიერთობა, კერძოდ, სადავოა სს „...ის“ მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა და ამასთან დაკავშირებით სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გამოცემული აქტები. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის სასამართლო განსჯადობა ამ ვალდებულებების შესრულების ადგილის – ქ. რუსთავის მიხედვით უნდა განისაზღვროს. სასამართლო აპელირებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის №ბს-284-284 (გ-18) და 2018 წლის 4 ივლისის №ბს-649-649(გ-18) განჩინებებზე, სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფოსა და მიმწოდებელს შორის იწყება სახელშეკრულებო ურთიერთობა სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში, პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულების (2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-7 მუხლი) – სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ განხორციელდა ზემოაღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის ხელშეკრულების შესრულების კანონიერების შემოწმება, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შერჩევითი რევიზია. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქ. რუსთავი, სარჩელის განსჯადი ხდება რუსთავის საქალაქო სასამართლო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ სს „...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო გამოცემული სადავო აქტების კანონიერება, კერძოდ, სს „...ის“ სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება ზემოხსენებული პროგრამით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციათა ბათილად ცნობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად,

აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემული კატეგორიის დავათა განსჯადობის თაობაზე არაერთგზის იმსჯელა საკასაციო პალატამ (იხ. სუს 17.05.2018წ. განჩინება საქმეზე №ბს-284-284(გ-18); 07.06.2018წ. განჩინება საქმეზე №ბს-342-342(გ-18); 19.07.2018წ. განჩინება საქმეზე №ბს-695-695(გ-18); 04.07.18წ. განჩინება საქმეზე №ბს-649-649(გ-18)) და აღნიშნა, რომ სადავო აქტების გამოცემის მომენტისათვის მოქმედი რედაქციით, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის თანახმად, პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში ტექსტსა და დანართებში – განმახორციელებელი). ამავე პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელია პირი (შემდგომში – მიმწოდებელი), რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში და წესით წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. საკასაციო სასამართლომ მითითებული ნორმების საფუძველზე განმარტა, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ხსენებული პროგრამის მოსარგებლეებზე მიწოდებას ახორციელებს სამედიცინო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილი სამართალსუბიექტების მეშვეობით, მათი უშუალო მონაწილეობით. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიღება სამედიცინო დაწესებულებებისათვის ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია მათ მიერ პროგრამაში მონაწილეობის სურვილის გაცხადებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო აქტების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36, 2012 წლის 15 მარტის №92, 2013 წლის 31 ოქტომბრის №279, 2014 წლის 2 დეკემბრის №650 და 2015 წლის 30 ივნისის №308 დადგენილებები, რომლებითაც წლების მიხედვით დამტკიცებულია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სს „...მა“, ნებაყოფლობით გამოხატა სურვილი და განაცხადა თანხმობა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92, 2013 წლის 31 ოქტომბრის №279, 2014 წლის 2 დეკემბრის №650 და 2015 წლის 30 ივნისის №308 დადგენილებებით დამტკიცებულ შესაბამისი წლების ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობაზე, რის საფუძველზეც პროგრამის მიზნებისათვის „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სს „...ი“ წარმოადგენს პროგრამის მიმწოდებელს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ეს პროგრამა და თანდართული დანართები, ამავე პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე ერთობლივად წარმოადგენს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელებელსა და მიმწოდებელს შორის და შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან.

ზემოხსენებული დანაწესის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ მონაწილე მიმწოდებლების განსაზღვრა სსიპ სოციალური სააგენტოს მხრიდან ხდება არა ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ კონკურსის ჩატარების გზითა თუ შერჩევის სხვაგვარი ფორმებით, არამედ უშუალოდ მიმწოდებელთა ნების გამოვლენით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიმწოდებელი (სამედიცინო დაწესებულება), რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, წერილობითი დასტურის გაცხადებით ავტომატურად უერთდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგ-

რამას, რის საფუძველზეც მხარეთა შორის წარმოიშობა შეთანხმება. ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს მიმწოდებელთა ნების გამოვლენის მნიშვნელობაზე მოცემული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ხსენებული ურთიერთობის წარმოშობა ხდება არა ცალმხრივად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შეხედულებით, არამედ მხოლოდ ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ შეთანხმებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მითითებული შეთანხმება ორმხრივად გამოვლენილი ნების შედეგია, შესაბამისად, მიმწოდებლის (სამედიცინო დაწესებულების) მიერ სურვილის გამოხატვა და მასში მონაწილეობის თაობაზე წერილობითი დასტურის გაცხადება წარმოადგენს მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან მხარეთა გათავისუფლება ადასტურებს, რომ დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან გათავისუფლება მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის პირობებშია შესაძლებელი, რადგანაც ხელშეკრულების არარსებობის დროს წარმოდგენილია მხარეთა შორის რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმებას ჰქონდეს ადგილი. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული დადგენილებით განსაზღვრული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა დამატებითი ხელშეკრულების გაფორმებისაგან მხარეთა გათავისუფლებით, ფაქტობრივად, უკვე არსებულ შეთანხმებას ხელშეკრულებად მოიხსენიებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი შეთანხმებაში იმთავითვე მოიაზრებს მიმწოდებლის წერილობითი დასტურის საფუძველზე პროგრამის მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის იმ სახელშეკრულებო ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რომლის განუყოფელ ნაწილსაც თავად საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრა-

მა, მისი დანართები და თითოეული დანანესი, აგრეთვე, მის უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური ერთობლივად წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სს „...ს“, როგორც მიმწოდებლის მიერ გაცხადებული დასტურით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „...ს“ შორის წარმოიშვა სახელშეკრულებო ურთიერთობა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე, რომლის განუყოფელ ნაწილსაც თავად ზემოხსენებული პროგრამა, მისი დანართები, მის უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ განისაზღვრება პროგრამაში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობები, აგრეთვე, პროგრამის ზედამხედველობის სახეობები და ეტაპები შემთხვევათა ტიპების შესაბამისად და ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის ზომის სახით გამოსაყენებელი სხვადასხვა ტიპის საჯარიმო სანქციები, კერძოდ, პროგრამის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროგრამის ზედამხედველობა მოიცავს პროგრამის განხორციელებაზე ზედამხედველობას პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტიანი შესრულების მიზნით, ხოლო ამავე პროგრამის მე-19 მუხლი კი კონკრეტულად განსაზღვრავს იმ საჯარიმო სანქციებს, რომელიც მიმწოდებელს პროგრამით განსაზღვრული კონკრეტული ღონისძიების არაეფექტური შესრულების გამო ეკისრება.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადავო აქტების გამოცემას საფუძვლად დაედო საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისა და წლების მიხედვით ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ შესაბამისი მუხლებით, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შემთხვევის შედეგად გამოვლენილი დარღვევისათვის მთავრობის დადგენილებებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების შესახებ ნორმები, რაც მითითებულ გარემოებებთან ერთობლიობაში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გამოყენებული პასუხისმგებლობის



ზომა სს „...სა“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანაწესებს უკავშირდება და მათგან გამომდინარეობს. საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება დაკავშირებულია სს „...ის“ მდებარეობასთან, კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში პროგრამის მიმწოდებელი სახელშეკრულებო ვალდებულებას რუსთავეში, ... ქ. № 1ა-ში მის იურიდიულ მისამართზე მდებარე, საკუთარი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ დავის საგანი უკავშირდება სს „...ის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასა თუ არაჯეროვან შესრულებას, გამომდინარე იქიდან, რომ სადავო აქტები გამოცემულია სწორედ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის საფუძველზე, შესაბამისად, აღნიშნული აქტების ბათილობის მოთხოვნით მოსარჩელე, ფაქტობრივად, სადავოდ ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა თუ არაჯეროვანი შესრულების ფაქტსაც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან სადავო აქტები გამოცემულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „...ს“ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობით დადგენილი პირობების საფუძველზე, განსჯადობის წესების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ ტერიტორიული განსჯადობის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრული ზოგადი წესი, ასევე, მოცემულ დავაზე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტიც და ის ადგილიც, სადაც ხელშეკრულების შესრულება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხორციელდებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი წესისა და ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი განსჯადობის სპეციალური წესის კონკურენციის დროს, განსახილველ შემთხვევაში დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, უპირატესობა სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის დანაწესებს უნდა მიენიჭოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრუ-



ლების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სს „...ის“ იურიდიული მისამართი – რუსთავი, ... ქ. №1ა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ადგილი ერთმანეთს ემთხვევა. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განსჯად სასამართლოს სწორედ რუსთავის საქალაქო სასამართლო წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სს „...ის“ სარჩელი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. სს „...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა ადმინისტრაციული ორგანოს  
ადგილმდებარეობის მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-460-460(გ-18)

17 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ხელშეკრულების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ნ-ემ 2018 წლის 19 თებერვალს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირებისა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ. მოსარჩელემ გორის სტადიონის სახელმწიფოსთვის გადაცემის ნაწილში საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების 2005 წლის 25 თებერვლის №2-1 დადგენილების მე-2 პუნქტის დანართი №2-ის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1-1/2280 ბრძანებისა და გორის მუნიციპალიტეტსა და საფეხბურთო „...“ შორის 2012 წლის 23 თებერვლის №5 უზუფრუქტის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 თებერვლის განჩინებით გ. ნ-ის სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირებისა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილზე და განმარტა, რომ ხსენებული ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვი-საგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან,

განანილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განსაზღვრას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდის გორის მუნიციპალიტეტში მდებარე უძრავ ნივთთან დაკავშირებით მიღებული აქტების კანონიერების საკითხს. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლო.

გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 12 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1-1/2280 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც გორის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა სტადიონი დამატებითი ქონების სახით; საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების 2005 წლის 25 თებერვლის №2-1 დადგენილების მეორე პუნქტის დანართი 2-ის ნაწილი, რომლითაც სახელმწიფოსათვის გადასაცემი ქონების ჩამონათვალში მითითებულია სადავო უძრავი ქონება; გორის მუნიციპალიტეტსა და საფეხბურთო კლუბ „...“ შორის დადებული უზუფრუქტის ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-20 მუხლებზე და განმარტა, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობისა და ახალი აქტების გამოცემის დავალდებულების შესახებ განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ

შემთხვევაში, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი) – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, რომელშიც წარადგინა სარჩელი მოსარჩელემ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და გორის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ გ. ნ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ გორის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /

მუხლი 26/, კერძოდ, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამონიშნებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს: გორის

სტადიონის სახელმწიფოსთვის გადაცემის ნაწილში საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების 2005 წლის 25 თებერვლის №2-1 დადგენილების მე-2 პუნქტის დანართი №2-ის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1-1/2280 ბრძანებისა და გორის მუნიციპალიტეტსა და საფეხბურთო „კლუბ ...“ შორის 2012 წლის 23 თებერვლის №5 უზუფრუქტის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეებს წარმოადგენენ: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომელთაგან ორი მოპასუხის ადგილსამყოფელია თბილისი, ხოლო ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელი გორი. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეები არ წარმოადგენენ ერთი სისტემის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სუბიექტები არიან, შესაბამისად დამოუკიდებლად მონაწილეობენ სამართალწარმოებაში. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილისა და მე-20 მუხლის შესაბამისად, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით მოცემული საქმის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხეების – საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი, ჭოველიძის ქ. №10ა; ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას პირველი შესახვევი 1/43) – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ამასთან, საგულისხმოა, რომ უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 9 იანვარს საქმე №ბს-1068-1062(გ-17) გამოტანილ განჩინებაში განმარტა, რომ ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენ-

ტრაცია მხოლოდ ქ. თბილისში. თუმცა, ხაზგასმით მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ნ-ის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. გ. ნ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



### **3.3. განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე**

#### **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ალტერნატიული განსჯადობა**

##### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-3(გ-19)

14 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 15 ნოემბერს შპს „...ამ“ საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, რომლითაც №... საჯარიმო ქვითრისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2018 წლის 2 ნოემბრის №MIA 4 18 02683317 დადგენილების გაუქმება, აგრეთვე, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით შპს „...ის“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული კო-

დექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამოიწვია ამ კატეგორიის საქმეთა სხვა (სასარჩელო) სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით. ხსენებული საკანონმდებლო აქტის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე, ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ (ქალაქის) სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის პრინციპი. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 1595-1599 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდი-

ვიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ, ხოლო მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს წარმოადგენდა რუსთავი. სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლო წარმოადგენდა შპს „...ის“ საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს. ამასთან, სადავო ადმინისტრაციული აქტი მიღებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ. აღნიშნულ აქტში მითითებულია, რომ დადგენილება გამოტანიდან 10 დღის ვადაში შესაძლოა გასაჩივრებელი იყოს რუსთავის საქალაქო სასამართლოში. ასევე, დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, შესაძლებელი იყო საჭირო გამხდარიყო სხვადასხვა საპროცესო მოქმედების განხორციელება და სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით საქმის განხილვა, რაც უფრო ეფექტურს გახდიდა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობასთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება აკეთებს კონკრეტულ ჩანაწერს, რომ „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას“, თუმცა მეორე მუხლი ასევე უშვებს შესაძლებლობას/გამონაკლისს, „დამრღვევის საც-

ხოვრებელი ადგილის მიხედვით“ ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული საქმეების განხილვის შესახებ. თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ უპირატესობა სწორედ პირველ ნაწილს უნდა მიანიჭებოდა, რამდენადაც იგი უფრო იმპერატიულად განსაზღვრავდა საქმის განხილვის ადგილს. გარდა ამისა, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ასევე მნიშვნელოვანი იყო იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ არა თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, არამედ მოპასუხე მხარეც ამ ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობს და მის მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესშიც სწორედ ამ ტერიტორიული ადგილის განსჯადი სასამართლოა მითითებული.

სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ მსგავსი საჩივრის (მხარეები ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და საპატრულო პოლიციის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები დგება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით) ავტორების უმეტესობა წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომელთა იურიდიულ მისამართად დაფიქსირებულია ქ. თბილისი, ამდენად, მხოლოდ ამ გარემოების გათვალისწინება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა „დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის“ მიხედვით, გამოიწვევს ადმინისტრაციულ საქმეთა კონცენტრაციას დედაქალაქში, რაც განაპირობებს ამ წესისაგან გამოწვევის გათვალისწინებას.

სასამართლომ განმარტა, რომ ტერიტორიული განსჯადობის არსიც მდგომარეობდა პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მმართველს მოპასუხის სასამართლოს და საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამდენად, მათი ადგილმდებარეობისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ერთმანეთისათვის დამთხვევის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვა უნდა მომხდარიყო შესაბამისი განსჯადი სასამართლოს მიერ, რამეთუ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-20017 გადაწყვეტილების 33-ე მუხლზე, რომლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...ის“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად რუსთავის საქალაქო სასამართლოს უნდა გადაგზავნოდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 დეკემბრის განჩინებით, შპს „...ის“ საჩივარი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 დეკემბრის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განხილვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამორიცხა ამ კატეგორიის საქმეთა სხვა (სასარჩელო) სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით. რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა ხსენებული საკანონმდებლო აქტის 272-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე, ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართვე-

ლოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განიხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებიდან. ამავე კოდექსის 231-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლე-

ბაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, რომელშიც წარადგენს სარჩელს. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

სასამართლომ მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სამართალდარღვევის „საცხოვრებელი ადგილი“ კი ქ. თბილისი, ... ქუჩა 3/5 იყო. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმის განსჯად სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლო წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა 118-ე მუხლთან დაკავშირებით ალტერნატიულ განსჯადობას ითვალისწინებდა, კერძოდ, 118-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელი იყო როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად ედო 118-ე მუხლი, შპს „...ის“ ადგილსამყოფელს ქ. თბილისი წარმოადგენდა. შპს „...ამ“ საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს მისი საცხოვრებელი (იურიდიული მისამართის) ადგილის მიხედვით მიმართა.

ამდენად, ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიდან და ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „...ის“ საჩივრის განხილვაზე განსჯად სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია წარმოადგენდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „...ის“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად თბი-



ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში

არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ დავა განსახილველად რამდენიმე სასამართლოს ექვემდებარება, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ საჯარიმო ქვითარი, რომელსაც ასევე სადავოდ ხდის საჩივრის ავტორი, შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე, ხოლო სამართალდამრღვევის – შპს „...ის“ ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>ფ</sup>-159<sup>გ</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 118-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგი-

ლის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 118-ე მუხლი, ხოლო შპს „...ის“ ადგილსამყოფელი არის ქ. თბილისი და მან საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება რუსთავის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა – შპს „...ამ“ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „...ის“ საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე  
ალტერნატიული განსჯადობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-4(გ-19)

14 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 15 ნოემბერს შპს „...მ“ საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, რომლითაც 2018 წლის 2 ოქტომბრის №... საჯარიმო ქვითრისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2018 წლის 9 ნოემბრის №MIA 0 18 02744360 დადგენილების გაუქმება, აგრეთვე, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით შპს „...ს“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამოიწვია ამ კატეგორიის საქმეთა სხვა (სასარჩელო) სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითებით, ხსენებული საკანონმდებლო აქტის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე, ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ (ქალაქის) სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის პრინციპი. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ, ხოლო მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რაი-

ონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს წარმოადგენდა რუსთავი. სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლო წარმოადგენდა შპს „...ს“ საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს. ამასთან, სადავო ადმინისტრაციული აქტი მიღებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ. ასევე, დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმეზე ობიექტური ქვამარიტების დადგენის მიზნით, შესაძლებელი იყო საჭირო გამხდარიყო სხვადასხვა საპროცესო მოქმედების განხორციელება და სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით საქმის განხილვა, რაც უფრო ეფექტურს გახდიდა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობასთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება აკეთებს კონკრეტულ ჩანაწერს, რომ „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას“, თუმცა მეორე ნაწილი ასევე უშვებს შესაძლებლობას/გამონაკლისს, „დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“ ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული საქმეების განხილვის შესახებ. თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ უპირატესობა სწორედ პირველ ნაწილს უნდა მინიჭებოდა, რამდენადაც იგი უფრო იმპერატიულად განსაზღვრავდა საქმის განხილვის ადგილს. გარდა ამისა, მსგავსი კა-

ტეგორიის საქმეებზე ასევე მნიშვნელოვანი იყო იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ არა თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, არამედ მოპასუხე მხარეც ამ ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობს და მის მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესშიც სწორედ ამ ტერიტორიული ადგილის განსჯადი სასამართლოა მითითებული.

სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ მსგავსი საჩივრის (მხარეები ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და საპატრულო პოლიციის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები დგება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით) ავტორების უმეტესობა წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომელთა იურიდიულ მისამართად დაფიქსირებულია ქ. თბილისი, ამდენად მხოლოდ ამ გარემოების გათვალისწინება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა „დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის“ მიხედვით, გამოიწვევს ადმინისტრაციულ საქმეთა კონცენტრაციას დედაქალაქში, რაც განაპირობებს ამ წესისაგან გამონაკლისების გათვალისწინებას.

სასამართლომ განმარტა, რომ ტერიტორიული განსჯადობის არსიც მდგომარეობდა პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მმართველს მოპასუხის სასამართლოს და საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამდენად, მათი ადგილმდებარეობისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ერთმანეთისათვის დამთხვევის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვა უნდა მომხდარიყო შესაბამისი განსჯადი სასამართლოს მიერ, რამეთუ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს № 1/150-20017 გადაწყვეტილების 33-ე მუხლზე, რომლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...ს“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად რუსთავის საქალაქო სასამართლოს უნდა გადაგზავნოდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 დეკემბრის განჩინებით, შპს „...ს“ საჩივარი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 დეკემბრის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამორიცხა ამ კატეგორიის საქმეთა სხვა (სასარჩელო) სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით. რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა ხსენებული საკანონმდებლო აქტის 272-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე, ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განი-

ხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებიდან. ამავე კოდექსის 231-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, რომელშიც წარადგენს სარჩელს. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად,

სად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სამართალდამრღვევის „საცხოვრებელი ადგილი“ კი ქ. თბილისი, ... №42-42ა იყო. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმის განსჯად სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლო წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა 118-ე მუხლთან დაკავშირებით ალტერნატიულ განსჯადობას ითვალისწინებდა, კერძოდ, 118-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელი იყო როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად ედო 118-ე მუხლი, შპს „...ს“ ადგილსამყოფელს ქ. თბილისი წარმოადგენდა. შპს „...მ“ საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს მისი საცხოვრებელი (იურიდიული მისამართის) ადგილის მიხედვით მმართა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ლიზინგის მიმღებსა და გამცემს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომლის 10.9 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დათვალიერების ან იდენტური პროცედურის გავლა (როგორც რეგულარული, ასევე ერთჯერადი) გახდება სავალდებულო საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ლიზინგის მიმღები ვალდებულია დროულად და საკუთარი ხარჯით ასეთი შესაბამისი ნორმატიული აქტის მიერ დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად. „...“ მიანოდებს ლიზინგის მიმღებს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და მიაწვდის ყველა აუცილებელ საამისო უფლებამოსილებას, რაც საჭირო იქნება ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები დაარღვევს ზემოაღნიშნულ ვალდებულებას, იგი იქნება ყველა დამდგარ შედეგზე მატერიალურად პასუხისმგებელი (მათ შორის შესაბამის ჯარიმებზე).

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიდან და ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სა-

სამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „...ს“ საჩივრის განხილვაზე განსჯად სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია წარმოადგენდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „...ს“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯა-

დობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ დავა განსახილველად რამდენიმე სასამართლოს ექვემდებარება, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ საჯარიმო ქვითარი, რომელსაც ასევე სადავოდ ხდის საჩივრის ავტორი, შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე, ხოლო სამართალდამრღვევის – შპს „...ს“ ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ... №42-42ა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>ა</sup>-159<sup>ვ</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე

მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 118-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 118-ე მუხლი, ხოლო შპს „...ს“ ადგილსამყოფელი არის ქ. თბილისი და მან საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა – შპს „...მ“ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „...ს“ საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე  
ალტერნატიული განსჯადობა**

**ბანკინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-97(გ-19)

16 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...ამ“ 2018 წლის 6 ნოემბერს საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. საჩივრის ავტორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ შპს „...ის“ სახელზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტის – ელექტრონული ჯარიმის №... ქვეთრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს უფროსის 2018 წლის 25 ოქტომბრის №MIA 6 18 02613802 დადგენილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 8 ნოემბრის დადგენილებით შპს „...ის“ საჩივარი განსჯადობით გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში შესაძლო სამართალდარღვევის ადგილს წარმოადგენს ქ. რუსთავი და სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლო წარმოადგენს შპს „...ის“ საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს. ამასთან, სადავო ადმინისტრაციული აქტი მიღებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ, აღნიშნულ აქტში მითითებულია, რომ დადგენილება გამოტანიდან 10 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში. ასევე დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმეზე ობიექტური ქვემარტივების



დადგენის მიზნით, შესაძლებელია საჭირო გახდეს სხვადასხვა საპროცესო მოქმედების განხორციელება და სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით საქმის განხილვა, უფრო ეფექტურს გახდის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება აკეთებს კონკრეტულ ჩანაწერს, რომ „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას“, მეორე ნაწილი ასევე უშვებს შესაძლებლობას/გამონაკლისს „დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“ ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული საქმეების განხილვის შესახებ, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ უპირატესობა სწორედ იმ პირველ ნაწილს უნდა მიენიჭოს, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, პირველი ნაწილი უფრო იმპერატიულად განსაზღვრავს საქმის განხილვის ადგილს. გარდა ამისა, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ასევე მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ არათუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, არამედ მოპასუხე/მოწინააღმდეგე მხარეც ამ ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობს და მის მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესშიც სწორედ ამ ტერიტორიული ადგილის განსჯადი სასამართლოა მითითებული. ამასთან, მსგავსი საჩივრის (მხარეები ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და საპატრულო პოლიციის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები დგება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით) ავტორების უმეტესობა წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომელთა იურიდიულ სამართად დაფიქსირებულია ქ. თბილისი, ამდენად მხოლოდ ამ გარემოების გათვალისწინება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა „დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის“ მიხედვით, გამოინევს ადმინისტრაციულ საქმეთა კონცენტრაციას დედაქალაქში, რაც განაპირობებს ამ წესისაგან გამონაკლისების გათვალისწინებას. ტერიტორიული განსჯადობის არსიც მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს და საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამდენად, ემთხვევა რა მათი ადგილმდებარეობა და ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი ერთმანეთს, სა-

სამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს შესაბამისი განსჯადი სასამართლოს მიერ, რამდენადაც საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას. საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-20017 გადაწყვეტილების 33-ე მუხლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ შპს „...ის“ საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯადია.

რუსთავის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებას და 2018 წლის 24 დეკემბრის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი მოითხოვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის 2018 წლის 17 ოქტომბრის ... საჯარიმო ქვითრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს უფროსის 2018 წლის 25 ოქტომბრის №MIA 6 18 02613802 დადგენილების ბათილად ცნობას. სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე მითითებით განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მართალია, 2018 წლის 17 ოქტომბრის №... საჯარიმო ქვითრის შედგენის ადგილია ქალაქი რუსთავი, ... №21, თუმცა საჩივრის ავტორის შპს „...ის“ იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ... №3-5 და ამ უკანასკნელის წარმომადგენლის მიერ საჩივარი წარდგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. შესაბამისად, შპს „...ის“ წარმომადგენელი უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მიემართა სასამართლოსათვის იურიდიული მისამართის მიხედვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და

რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განიხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შპს „...ას“ ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე აქვს დაკისრებული. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია – ქალაქი რუსთავი; საქმეში წარმოდგენილი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, საჩივრის ავტორის იურიდიული მისამართია – ქ. თბილისი, ... №3-5. ამასთან, საგულისხმოა, რომ საქმეში დაცული მასალებით არ იკვეთება საჩივრის ავტორის იურიდიული მისამართისაგან განსხვავებული ფაქტობრივი მისამართის არსებობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ადგენს საჩივრის ალტერნატიულ განსჯადობას – სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ან სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა აირჩია განსჯადი სასამართლო და საჩივარი წარადგინა თავისი ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 სექტემბრის №ბს-648-648(გ-18) განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებსა და განმარტებებზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს მითითებას და მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს საჩივრის ავტორის არჩევანის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „...ის“ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „...ის“ საჩივარი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# განსჯადობა სამართალდარღვევის ჩადენის აღბილის მიხედვით

## განჩინება საქართველოს სასჯელით

№ბს-633(გ-19)

7 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

### აღწერილობითი ნაწილი:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურმა 2019 წლის 19 აპრილს მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს შპს „...-ის“ მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის განხილვის მოთხოვნით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 2019 წლის 18 აპრილის №000049 ოქმით სამართალდარღვევის არსს წარმოადგენს შპს „...-ის“ მიერ თვითმმართველი ერთეულის იერსახის თვითნებური შეცვლა ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. სამართალდარღვევა ჩადენილია ქ. რუსთავში, ... ქ. №19-ში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 აპრილის განჩინებით შპს „...-ის“ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის საფუძველზე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქალაქო სასამართლო მიუთითებს, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ სამართალდამრღვევის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ...ის ქუჩა №92. აღნიშნულის გამო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „...-ის“ მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებას და 2019 წლის 1 მაისის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილება წინამდებარე ოქმის განხილვაზე არ დგინდება, ვინაიდან სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია კოდექსის 150<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმის განხილვის ადგილი არის მისი ჩადენის ადგილი. როგორც ოქმში მითითებულია, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია: ქალაქი რუსთავი, ... ქუჩა №19. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თა-

ობაზე რუსთავისა და თბილისის საქალაქო სასამართლოების განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის მიერ შპს „... – ის“ მიმართ შედგენილი 2019 წლის 18 აპრილის №000049 სამართალდარღვევის ოქმი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება რუსთავის საქალაქო სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის დავის საგანს წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის მიერ შპს „... – ის“ მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1501 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე შედგენილი 2019 წლის 18 აპრილის №000049 სამართალდარღვევის ოქმის განხილვის უფლებამოსილება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1“ ქვეპუნქტით მაგისტრალი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს სასამართლოში წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე, სასამართლოს მიერ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს საფუძველად უდევს 150<sup>1</sup>-ე მუხლი, რაც გამორიცხავს მისი განხილვის შესაძლებლობას დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და იმპერატიულად ადგენს, რომ სამართალდარღვევის საქმე განხილულ უნდა იქნეს მისი ჩადენის ადგილას.

საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამარ-



თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებას, რომლის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმის განხილვის ადგილი არის მისი ჩადენის ადგილი. შპს „... - ის“ მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე შედგენილი 2019 წლის 18 აპრილის №000049 სამართალდარღვევის ოქმში სამართალდარღვევის ჩადენის ადგილად მითითებულია ქ. რუსთავი, ... ქ. №19. ამდენად, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე 2019 წლის 18 აპრილის №000049 სამართალდარღვევის ოქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის მიერ შპს „...-ის“ მიმართ შედგენილი 2019 წლის 18 აპრილის №000049 სამართალდარღვევის ოქმი თანდართული მასალებით განსახილველად უნდა გადაეცეს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის მიერ შპს „...-ის“ მიმართ შედგენილი 2019 წლის 18 აპრილის №000049 სამართალდარღვევის ოქმი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე  
დავის განსჯადობის სპეციალური წესი**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-2(გ-19)

20 ივნისი 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის.

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...მ“ 15.11.18წ. საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ მოპასუხის 02.10.18წ. №... ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმისა (საჯარიმო ქვითარი) და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 08.11.18 №MIA 7 18 02730876 დადგენილების გაუქმების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.17წ. დადგენილებით შპს „...ს“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, ხოლო ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა განსჯადობით რუსთავის საქალაქო სასამართლოს ქვემდებარეა, რადგან განსახილველ შემთხვევაში შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს წარმოადგენს ქ. რუსთავი. ამასთან, სადავო ადმინისტრაციული აქტი

მიღებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ. ასევე, დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმეზე ობიექტური ქეშმარიტების დადგენის მიზნით, შესაძლებელია საჭირო გახდეს სხვადასხვა საპროცესო მოქმედების განხორციელება, შესაბამისად, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით საქმის განხილვა უფრო ეფექტურს გახდის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კონკრეტულად ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მისი ჩადენის ადგილად განხილვას, თუმცა მე-2 ნაწილი უშვებს შესაძლებლობას გარკვეულ შემთხვევებში საქმის განხილვა მოხდეს დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ უპირატესობა მუხლის პირველ ნაწილს უნდა მიენიჭოს, რადგან პირველი ნაწილი უფრო იმპერატიულად განსაზღვრავს საქმის განხილვის ადგილს. ასევე მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ არათუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, არამედ მოპასუხე მხარეც ამ ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობს და მის მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესშიც სწორედ ამ ტერიტორიული ადგილის განსჯადი სასამართლოა მითითებული. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი საჩივრის ავტორების უმეტესობა წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომელთა იურიდიულ მისამართად დაფიქსირებულია ქ.თბილისი, ამდენად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოინვევს ადმინისტრაციულ საქმეთა კონცენტრაციას დედაქალაქში, რაც განაპირობებს ამ წესისაგან გამონაკლისების დაშვების აუცილებლობას. სასამართლოს მითითებით, ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამდენად, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილისა და ოქმის გამომცემი ორგანოს მდებარეობის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯადია.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 19.12.18წ. განჩინებით შპს „...ს“ საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. სამართალდამრღვევის მისამართია ქ. თბილისი, ... №42-42ა. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ამავე კოდექსის 118-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ 118-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შპს „...ს“ ადგილსამყოფელია ქ. თბილისი. რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ შპს „...ს“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიულ განსჯადობას. სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით დადგენილია სამოქალაქო სარჩელის წარდგენისას განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის წესი. აღნიშნული წესების გამოყენება ხდება აგრეთვე ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრისას, უკეთუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი (სასკ-ის 1.2 მუხ.). სასკ-ის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალ-

დარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული აქტის კანონიერების თაობაზე არსებული დავები იხილება ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება. ამავე კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას (261.1 მუხ.), თუმცა კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (261.2 მუხ.). ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილია განსჯადობის სპეციალური წესი, რაც გამორიცხავს განსახილველ დავაზე სკ-ით განსაზღვრული განსჯადობის წესის გამოყენებას.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „...“ 02.10.18წ. დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს იმ იურიდიული პირის დაჯარიმებას, რომელმაც სამართავად გადასცა/საექსპლუატაციოდ გადასცა/საექსპლუატაციოდ დაუშვა სხვა პირი იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება. ამდენად, სანქციის შეფარდების სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით (118.2 მუხ.), სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა ალტერნატიული განსჯადობა. შპს „...ს“ შეეძლო საჩივარი წარედგინა თავისი ადგილსამყოფლის ან სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით. ალტერნატიული განსჯადობის შემთხვევაში განსჯად სასამართლოს ირჩევს მოსარჩელე – განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „...მ“ გამოიყენა თავისი საპროცესო უფლება და სასამართლოს მიმართა არა სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის, არამედ სავარაუდო დამრღვევის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნულის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით შეცვალა საჩივრის ავტორის მიერ არჩეული სასამართლო და დავა განსახილველად რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაუგზავნა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითება მოპასუხის – შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს მდებარეობის შესახებ განსახილველი დავის ტერიტორიული განსჯადობის გადაწყვეტისათვის არარელევანტურია, რადგან ადმინისტრა-

ციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი განსჯადობის სპეციალური წესი არ ითვალისწინებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მდებარეობის მიხედვით სამართალდარღვევის საქმის განხილვის შესაძლებლობას. ამასთანავე, სსკ-ის მე-15 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის განსახილველ შემთხვევაზე გავრცელება არ ეფუძნება რაიმე ნორმატიულ საფუძველს.

მოსაზრება, რომ განსახილველი დავის თბილისის საქალაქო სამართლოსათვის დაქვემდებარება გამოიწვევს მის გადატვირთვას, რადგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118.2 მუხლის საფუძველზე სანქციაშეფარდებული სუბიექტები იურიდიული პირები არიან, რომელთა ადგილსამყოფელი ქ. თბილისია, აგრეთვე არ არის დასაბუთებული, კოდექსის 118.2 მუხლის დისპოზიცია არ იძლევა მსგავსი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. კოდექსის 118.2 მუხლის სუბიექტები არიან არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ფიზიკური პირებიც, რომელთა რეგისტრაცია შესაძლოა სხვადასხვა ადგილას იყოს, საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში და არა მხოლოდ ქალაქ თბილისში. ამასთანავე, განსჯადობის საკითხს იმპერატიული ხასიათი აქვს და მისი გადაწყვეტა უნდა ემყარებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს და არა მიზანშეწონილობის მოსაზრებებს.

განსჯადობის წესი არ განსაზღვრავს აგრეთვე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტის გასაჩივრების წესში რუსთავის საქალაქო სასამართლოს მითითება, რადგან კონკრეტული დავის განსჯადი სასამართლო დგინდება შესაბამისი ნორმატიული მოწესრიგების და არა მოპასუხის მოსაზრების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს განსჯადი სასამართლოს არჩევის თაობაზე საჩივრის ავტორისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლებების შეზღუდვის რაიმე საფუძველი, შესაბამისად, შპს „...ს“ არჩევანის გათვალისწინებით, საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე და 399-ე მუხლებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით და:

## **დაადგინა:**

1. შპს „...ს“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დავის განსჯადობის სპეციალური ნაწი**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-542(გ-19)

20 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და მარტვილის მაგისტრ სასამართლოს შორის.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. გ-ამ 19.03.2019წ. საჩივრით მიმართა მარტვილის მაგისტრ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ მოპასუხის 24.02.2019წ. №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა (ელექტრონული საჯარიმო ქვითრის) და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 05.03.2019წ. №MIA 4 19 00569568 დადგენილების გაუქმების მოთხოვნით. ლ. გ-ამ იწუამდგომლა საქმის თავისი საცხოვრებელი ადგილის მისამართის (მარტვილი, ..., მე-20 ქ. №12) და არა რეგისტრაციის ადგილის (ქ. თბილისი, ... №106/17) მიხედვით განხილვის შე-



სახებ.

სენაკის რაიონული სასამართლოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მაგისტრეტი სასამართლოს 20.03.2019წ. განჩინებით ლ. გ-ას საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, თუმცა ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისის ტერიტორია, რის გამოც საჩივრის განსახილველი უფლებამოსილი სასამართლო ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სასკ-ის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა და ექვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისგან. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 3.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.04.19წ. დადგენილებით ლ. გ-ას საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სასკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. ალტერნატიული განსჯადობისას, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა. ასეთ დროს მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს საკუთარი ან მოპასუხის ინიციატივით შეცვლა ცდება საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ცალსახად ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, ხოლო ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე-

ები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში, ლ. გ-ას მიმართ ელექტრონული დადგენილება შედგენილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტზე, შესაბამისად, საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ისე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დადგენილია, რომ ლ. გ-ამ გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსჯად მარტვილის მაგისტრატ სასამართლოს, თუმცა ამ უკანასკნელმა საქმე გადააგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში იმ საფუძველით, რომ სამართალდარღვევის ჩადენა მოხდა ქ. თბილისის ტერიტორიაზე, რაც სასამართლოს მოსაზრებით დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება ნორმატიულად განსაზღვრულ განსჯადობის წესს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებისა და მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს განჩინების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ლ. გ-ას საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მარტვილის მაგისტრატ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიულ განსჯადობას. სასკ-ის 26-ე მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი განისაზღვრება ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

ზოგადი წესის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარ-

ღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას (261.1 მუხ.), თუმცა კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (261.2 მუხ.).

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ლ. გ-ა 24.02.2019წ. ღამის საათებში მოძრაობდა ქ. თბილისში, ... ტერიტორიაზე, რა დროსაც შსს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მიერ დაუდგინდა 0.972% ალკოჰოლური თრობა და მის მიმართ შედგენილ იქნა №... ელექტრონული დადგენილება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ლ. გ-ამ საჩივრით მიმართა სასამართლოს სახდელის დაკისრების შესახებ ელექტრონული დადგენილებისა და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გაუქმების მოთხოვნით. ამდენად, ვინაიდან სანქციის შეფარდების სამართლებრივი საფუძველი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტია, განსჯადობა ალტერნატიულია: ლ. გ-ას შეეძლო საჩივარი წარედგინა სამართალდარღვევის ჩადენის ან თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მარტვილის მაგისტრატე სასამართლოში საჩივრის წარდგენით ლ. გ-ამ აირჩია საქმის განმხილველი სასამართლო, ამასთანავე, წარდგენილ საჩივარში ლ. გ-ა უთითებდა, რომ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილია მარტვილი, ... და შუამდგომლობდა საქმის მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განხილვას. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განსაზღვრულია რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, რომლის მიხედვით სენაკის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება სენაკის, აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით, სწორედ აღნიშნული სასამართლოს ფარგლებში მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე მარტვილის მუნიციპალიტეტში (37-ე მუხ.). ამდენად, ლ. გ-ას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსჯადი სასამართლო მარტვილის მაგისტრატი სასამართლოა.

საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ ალტერნატიული განსჯადობისას, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის საპროცესო უფლებაა და დაუშვებელია მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი მოპა-

სუხის მოთხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით. ლ. გ-ამ საჩივრით მიმართა მარტვილის მაგისტრატ სასამართლოს, რითიც მოახდინა თავისი საპროცესო უფლების რეალიზაცია და მარტვილის მაგისტრატი სასამართლო აირჩია განსჯად სასამართლოდ. ამასთანავე, ლ. გ-ამ საჩივარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სურს საქმე მისი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით იქნეს განხილული, ასევე დაასახელა საცხოვრებელი ადგილის (რომელიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს რეგისტრაციის ადგილს) მისამართი: მარტვილი, ... . მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს განჩინება არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას საჩივრის ავტორის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლის შესახებ და შედეგადად მხოლოდ ნორმათა ციტირებისგან. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მაგისტრატი სასამართლო თავადვე უთითებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლზე (პირველ და მეორე ნაწილებზე), რომელიც ამავე კოდექსის 116-ე მუხლის საფუძველზე დაწყებული სამართალდარღვევის საქმის განხილვას დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც ითვალისწინებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მარტვილის მაგისტრატ სასამართლოს. სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგავრი გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე და 399-ე მუხლებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით და:

### **დასაბუთება:**

1. ლ. გ-ას საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სენაკის რაიონული სასამართლოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **4. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯალობა**

##### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბ-342-3(ა-19)

21 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ვ. კ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი.

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა ადმინისტრაციული საქმე №ბს-702-688(კ-კს-14) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 თებერვლის განჩინების საკასაციო საჩივრით განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 24 მარტის განჩინებით ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 თებერვლის განჩინება.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ის სარჩელი, ყოფილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ნინოწმინდის განყოფილების მიერ შედგენილი 2001 წლის 25 ნოემბრის №1 აუქციონის ოქმისა და 2001 წლის 25 ნოემბრის №2 ხელშეკრულების – ნინოწმინდის რესტორან „...“ პრივატიზაციის შესახებ, ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. კ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 თებერვლის განჩინებით ვ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვე-

ტილება.

2019 წლის 11 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ვ. კ-მა, რომელმაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 18 ივნისის №01/03-01-116 ბრძანების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვ. კ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, განსჯადობის წესების დაცვით, უნდა გადაეცეს უფლებამოსილ ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების ნანამძღვრები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლი განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობის საკითხს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. კ-ის მიერ განცხადება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია განსჯადობის წესების დარღვევით, რადგან მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილია ახალქალაქის

რაიონული სასამართლოს მიერ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არა აქვს მინიჭებული კომპეტენცია იმსჯელოს ვ. კ-ის განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, ვ. კ-ი ითხოვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ვ. კ-ის განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოდგენს ახალქალაქის რაიონული სასამართლო, რის გამოც ვ. კ-ი არასწორად მომართავს განცხადებით საკასაციო სასამართლოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. კ-ის განცხადება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით უნდა გადაეცეს ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობასა და მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილითა და 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე და 424-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ვ. კ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსახილველად გადაეცეს უფლებამოსილ – ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)